გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

სამშაბათი, 23 ივლისი, 2019 №172 (8126) ფასი: 60 თეთრი

## ლელა ქსოვრელი: „ჩემი შვილი ცემის შედეგად არ დაღუპულა“

გვ.7



19 ივლისიდან
რევაზ მიშველაძე
ციყვი ბორბალში
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# გოჩა მირცხულავა: „ქიბარ ხალვაშს თავ-პირს დავამტვრევდი“

„შემოდგომაზე ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება“

გვ.2



## ირაკლი ოქრუაშვილი: „რუსთავი 2“-ის საქმე პოლიტიკური პროცესია, მის უკან ივანიშვილი დგას“

გვ.3




უკვე 8 თვეა, რაც ხალვაში ხელმოწერების დატოვების მიზნით არ ცხადდება ექსპერტიზის ბიუროში. რა მოტივით შეიძლება იდავონ, ჩემთვის წარმოუდგენელია. კეთილი ინებოს და მიბრძანდეს, რათა ხელმოწერების ნიმუშები დატოვოს. ექსპერტიზას მისცეს საშუალება, რომ დასკვნა გააკეთოს.

## გია ხუხაშვილი: „ხალვაში ემსახურებოდა წინა ხელისუფლებას, ახლა ემსახურება „ოცნების“ ხელისუფლებას“

გვ.4



„ხელისუფლებაში რომ მოვედით, მცდელობა მქონდა, „რუსთავი 2“-ის საქმე გამოეძიებინათ“

## დვალი: „ივანიშვილი წყვეტს, დათმობს თუ არა ქიბარი წილს და „რუსთავი 2“-თან მიგვიშვებენ თუ არა“

გვ.3



## კახა კუკავა: „ნაციონალური მოძრაობა კანონით უნდა აიკრძალოს“



გვ.5

## ინგუშები საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან შუამდგომლობას სთხოვენ

გვ.3



სამართალი

გვ.7

### დეპუტატ ენზელ მკოიანს ნარინე გინოსიანი სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს





### ამირან დეკანოსიძის შვილის გატაცებისთვის 4 პირს 13, 14 და 15-15 წელი მიესაჯა




### ბათუმში 4 ბავშვით ვაჭრობისთვის მათი დედა და დეიდა დააკავეს

ISSN 1987-9385

6 გიორგი ლაღიძე: „საქართველო მყიფე დემოკრატიის მქონე სახელმწიფოა“

5 რომან გოცირიძე: „თუკი ოქრუაშვილს რომელიმე სასამართლო „რუსთავი 2“-ს მიაკუთვნებს, შეიძლება, ივანიშვილი გამოხტეს და თქვას, მე მივეცი ფულიო“

6 რა კავშირი აქვს თურქმენეთის მოვლენებს საქართველოსთან?

4 თემურ ქყონია: „თუ ეროვნული ბანკი არ ერევა ლარის გამყარებაში, მაშინ მისი ფუნქცია უნდა გადაიხედოს“

# გოჩა მირცხულავა: „ქიბარ ხალვაშს თავ-პირს დავამტვრევდი“

## „შემოდგომაზე ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ მოუწევს მთავრობას გადადგომა, რატომ ვერ გადაიფარება ანტისაიკუპაციო მოძრაობა, რატომ ამჯობინა დუმილი მამუკა ხაზარაძემ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი **გოჩა მირცხულავა** ესაუბრება.

***– სოციალურ ქსელში თქვენ დაწერეთ, რომ პოლიტიკოსებმა, სამოქალაქო სექტორმა, ექსპერტებმა, ანალიტიკოსებმა, „დამოუკიდებელმა“ ჟურნალისტებმა, რომლებიც დღეს „ოცნებას“ ამუნათებენ რუსთავი 2-ის საკითხში, საკუთარი ინტელექტუალური ფიასკო უნდა აღიარონ. რატომ გგონიათ, რომ მათ ფიასკო განიცადეს?***

– როდესაც საზოგადოება, გნებავთ სახელმწიფო, რაღაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება, რაშიც რამდენიმე წლის წინ იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებამ არაფერი გააკეთა იმისთვის, რათა ის პრობლემები აღმოფხვრილიყო, რაც წინა ხელისუფლების დროს არსებობდა.



> „ორმაგი სტანდარტით, ინტელექტუალური ატროფიის პირობებში ეს ქვეყანა იქამდე მივიყვანეთ, რომ დეჟავიუ გაგვიჩნდა. ვიცით, რომ იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და რუსთავი 2 კვლავ ხელისუფლების სამსახურში იქნება“

მოდით, მედიასეგმენტში შევხედოთ ამ ვითარებას. ჩვენ რატომღაც არ გვახსოვს, თუ რა ხდებოდა ქართულ მედიაში 2004-2006 წლებში, როდესაც იქ სერიოზული გადანაწილებები მოხდა.

სამაგიეროდ, მეტნაკლებად უნდა გვახსოვდეს, რა ხდებოდა 2010-2011 წლებში. მაშინ დღევანდელი ხელისუფლების წევრები და ისინიც, ვინც ამ დროისთვის „ოცნებას“ ჩამოშორდა, გაიძახოდნენ, რომ მედიაგარემო არის უზურპირებული.

მაშინდელი ხელისუფლება აკონტროლებდა რუსთავი 2-ს, ტელეიმედს და საზოგადოებრივ მაუწყებელსაც მართავდა. ოპოზიციონერებს და ექსპერტებს მაშინ მხოლოდ კავკასიის და მაესტროს მეშვეობით შეეძლოთ საზოგადოებასთან დალაპარაკება.

სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ მოახდინა მედიასივრცის უზურპაცია. ვიღაცები გაჰყვირიან, რომ დაიხურა თავისუფალი სიტყვის ერთადერთი ფორპოსტი. თავად ტელეკომპანიის წარმომადგენლები და ოპოზიციის ნაწილი მთელი ეს წლები გამუდმებით გაიძახოდნენ, რომ თავისუფალი სიტყვის გარანტი მხოლოდ და მხოლოდ რუსთავი 2-ა.

უკაცრავად, მაგრამ „ახალი თაობა“ რატომ არ არის თავისუფალი სიტყვის გარანტი? იმიტომ, რომ წაკითხვა უჭირთ. ასე არ შეიძლება.

***– მართალი ხართ, საქართველოში ბევრი დამოუკიდებელი მედიასაშუალებაა.***

– რა თქმა უნდა. ეს მედიასაშუალებები არანაკლებ იბრძვიან უსამართლობის წინააღმდეგ. საინტერესოა, მედიაექსპერტები და ოპოზიციის ნაწილი რატომ არ ახდენდა და არ ახდენს ამ მედიასაშუალებების პოპულარიზაციას. მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ ჩვენი მაუწყებლები მიეჩვივნენ ჩვენი ექსკლუზივების მოპარვას და მათ გადამუშავებას. ეს იმპერატიული დასკვნა, რომ მე ვარ ერთადერთი, მიუღებელია.

რუსთავი 2 მართლაც არის გარკვეული ფენომენი, რომელიც ამ წლების განმავლობაში ვითარდებოდა, მიდიოდა წინ, უშვებდა შეცდომებსაც. იმ ხალხს, რომლებიც წლების მანძილზე ნაციონალური მოძრაობის მებაირახტრეები იყვნენ, ძალიანაც ნუ გაუკვირდებათ, რომ თურმე რაღაც ხდება რუსთავი 2-ში.

ნახევარსიმართლით ჩვენ შორს ვერ წავალთ. მინდა ვკითხო რესპუბლიკელებს და „თავისუფალ დემოკრატებს“, ახლა რომ თავგამოდებით იცავთ ამ ტელეკომპანიას, 2012 წლამდე მის ლანძღვაში რატომ იყავით?

***– 2012 წლების მერეც ლანძღავდნენ. ეს არხი მხოლოდ მაშინ დააფასეს, რაც ისინი ოლიგარქმა კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ მოკვეთა.***

– სანამ ხელისუფლებაში იყვნენ, რუსთავი 2 ტენდენციური იყო, ხოლო როცა იქედან წამოვიდნენ და ფანჯარა დასჭირდათ, აღნიშნული ტელეკომპანია დემოკრატიის შუქურა გახდა? ეს ორმაგი სტანდარტი ხომ არ გვღუპავს შემთხვევით?

შეიძლება ცუდად გამომივიდეს რასაც ვიტყვი, მაგრამ შესაძლებლობა რომ მქონდეს, სულ თავ-პირს დავამტვრევდი ქიბარ ხალვაშს.

***– ხალვაშს რას ერჩით?***

– რას ვერჩი და რაზე აქვს საერთოდ პრეტენზია. მართლა ოქრუაშვილის ხელის ბიჭი იყო, მაგრამ თავის დროზე ბატონმა ოქრუაშვილმა სააკაშვილთან ერთად რატომ აახია რუსთავი 2 აქიმიძეს, დვალს და კიწმარიშვილს? თუმცა მაშინ მეტნაკლებად კეთილსინდისიერად მოიქცნენ, პატარა ფული მაინც მისცეს.

ისიც ვთქვათ, ხალვაშს როგორ აახიეს შემდგომმა მფლობელებმა? რაიმე კაპიკი გადაუხადეს? ასეთი ორმაგი სტანდარტები და შერჩევითი სამართალი არ მომწონს.

ჩვენ, მედია, უნდა მივხვდეთ ერთ რამეს, რომ ექსკლუზივი კი არ არის შინაარსი, არამედ ფორმა, შინაარსი და ანალიზი. არავის არ სჭირდება ინტერპრეტირებული ფაქტები, საკმარისია აგრესია!

ჩვენ 30 წელია აგრესიის რეჟიმში ვცხოვრობთ. ეს აგრესია რაღაცნაირად უნდა მინელდეს. თუ აგრესიის მონელებას ვერ მოახერხებენ პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, მაშინ საზოგადოებას დარჩება მხოლოდ ორი გზა. ან ეს აგრესია უნდა გამოუშვას გარეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ორი დაპირისპირებული მხარე ერთმანეთს შეაკლავს თავს და ბოლოს გადარჩენილებს მაგიდასთან მოუწევთ დაჯდომა და დალაპარაკება.

მეორე გზა გახლავთ ის, რომ ადამიანები მიიღებენ გადაწყვეტილებას და მოახდენენ თვითმარგილებადი ძალებიდან დისტანცირებას.

დიდი ბოდიში, მაგრამ როცა გვეუბნებიან რუსთავი 2 არის თავისუფალი სიტყვის ერთადერთი გარანტიო, სააკაშვილის დროს ვინ იყო თავისუფალი სიტყვის გარანტი? ის ჟურნალისტები ხომ არა, რომლებიც მერე ეკრანებს არ გააკარეს, მოიშორეს და წინადადებებიც კი არ დაასრულებინეს?!

ან იქნებ ის გამოცემები იყვნენ თავისუფალი სიტყვის გარანტები, რომლებიც წლებია, სტაბილურად ემსახურებიან სიმართლეს და დღემდე დგანან ობიექტურობის სადარაჯოზე.

ასეთი განცხადებებით რისი დამტკიცება უნდათ, რომ რუსთავი 2 თუ არ იქნა, თავისუფალი სიტყვა არ იქნება საქართველოში? ის ადამიანები, რომლებიც დღეს გვეუბნებიან, რომ რუსთავი 2-ის გაჩერებით დაიღუპება საქართველო, წლების წინ პირდაპირი ეთერებით გვეუბნებოდნენ – დიახ, ჩვენ არ ვკითხულობთ ქართულ გაზეთებს. აცხადებდნენ, ჩვენ არ გვაინტერესებს ქართული საინფორმაციო სააგენტოები. ჩვენ მხოლოდ სიენენი და ბიბისი გვაქვს ჩართული.

ეს ხომ არ არის ის წრე, რომელიც ამ ხალხმა თავის დროზე ძალადობრივი ქმედებებით შეკრეს. ივანიშვილზე თუ ვილაპარაკებთ, პელე ყოფილა ნამდვილად.

***– ივანიშვილის პელეობა რაში გამოიხატება?***

– წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ახლა ძალით არავისთვის წაურთმევიათ მედიასაშუალებები. მაესტრო გაყიდეს მეპატრონეებმა, იმედი კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს სასამართლო წესით. რუსთავიც სასამართლომ დაუბრუნა ხალვაშს. ვსვამ კითხვას, სად არის ძალადობა.

ამავე დროს, არსებობს პოლიტიკური ეჭვები და ამას არავინ უარყოფს. ეჭვებთან ერთად არსებობს პოლიტიკური მეხსიერებაც.

გაბრაზებული იცით რაზე ვარ, რომ ამ ორმაგი სტანდარტით, ინტელექტუალური ატროფიის პირობებში ეს ქვეყანა იქამდე მივიყვანეთ, რომ დეჟავიუ გაგვიჩნდა. ვიცით, რომ იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და რუსთავი 2 კვლავ ხელისუფლების სამსახურში იქნება.

***– წარსულში დაბრუნებამ შემთხვევით ხომ არ გადაფარა ის მნიშვნელოვანი პროცესები, რაც რუსთაველზე მიდის? ანტისაოკუპაციო მოძრაობა მაქვს მხედველობაში. ამ აქციებზე თითქმის არავინ აღარ იღებს ხმას.***

– არა მგონია, რომ ანტისაოკუპაციო მოძრაობა რამემ ან ვინმემ გადაფაროს. ის მოძრაობა, რომელიც ახლა მიდის, აუცილებლად იქნება შედეგის მომტანი. ეს მოძრაობა ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას, პოლიტიკურად გავიზარდოთ.

ახლა, როცა ამ ინტერვიუს ვწერთ, ჩემთვის არაა ცნობილი, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ აქციის ორგანიზატორები. არ ვიცი, რა ფორმით გაგრძელდება ეს ბრძოლა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შემოდგომაზე ხელისუფლება იძულებული გახდება, მთავრობის შემადგენლობა შეცვალოს.

ეს არის ჩემი ხედვა. მიმაჩნია, რომ მუდმივად ამ რეჟიმში ხელისუფლება ვერ იცხოვრებს. იქ, ზემოთ ვიღაცა მიხვდება, რომ ეს გოგობიჭების ჟრიამული, რომელიც ზოგიერთს ცეკვათამაშად ეჩვენება, სულაც არ არის ცეკვა-თამაში და გახლავთ პოლიტიკური აქტი, რომელსაც ახალგაზრდები ასე ახორციელებენ.

მესმის, რომ ანტისაოკუპაციო მოძრაობა შინაარსობრივად უფრო სხვა მოცემულობის მატარებელია და ამ მთლიან კომპონენტს მოწოდება – გახარია გადადექი – აზიანებს.

***– რატომ აზიანებს, გახარიას წასვლით დეოკუპაცია არ მოხდება?***

– ანტისაოკუპაციო მოძრაობა და გახარიას გადადგომა სრულიად სხვადასხვა რამეებია. ამ აღმატებულ იდეას ეს პერსონიფიცირება ზიანს აყენებს.

ასევე მინდა ამ აქციის სიმბოლოზე – ერთ თვალზე აფარებულ ხელზეც ვთქვა რამდენიმე სიტყვა. მისტიკაში გადავარდნა არ მინდა, მაგრამ სიმბოლოებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს ყველამ უნდა გავაცნობიეროთ.

მე მესმის, რომ თვალზე ხელის აფარება სიმბოლო მას შემდეგ გახდა, რაც აქციაზე ახალგაზრდებმა თვალები დაკარგეს, მაგრამ თვალახვეული პერსონაჟი ანტისაოკუპაციო აქციის სიმბოლოდ არ გამოგვადგება.

დღეს საქართველო ისეთ სიტუაციაშია, რომ ცალი თვალით კი არა, ორს ერთი უნდა დავამატოთ და სამი თვალით ვიყუროთ. სიმბოლოებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მათთან ცოტა ფრთხილად ვიყოთ.

ამ ახალგაზრდების ადგილზე მე მესამე თვალსაც მივიხატავდი იმის მადემონსტრირებლად, რომ რაც არ უნდა გვესროლონ, ვერაფერს დაგვაკლებთ. ცალ თვალზე ხელაფარებული პერსონაჟი ენერგეტიკულად ძალიან ცუდი და სახიფათოა.

ანტისაოკუპაციო აქციას რუსთავი 2-ის თემა ვერაფრით გადაფარავს. ის გაგრძელდება და უფრო აღმატებული იქნება. და სულ არ ექნება მნიშვნელობა იმას, თუ ვინ მიიწერს ამ გამარჯვებას საკუთარ თავზე.

შემოდგომაზე მთავრობა თუ შეიცვალა, ეს იქნება ანტისაოკუპაციო აქციის დამსახურება და „ოცნების“ მიერ გადადგმული ერთადერთი გონივრული ნაბიჯი. რადგან ისინი შეძლებენ გაზომონ ახალგაზრდების ენერგეტიკა და პულსი. ამავე დროს ეს არ იქნება მათ მიმართ კაპიტულაცია.

შედეგის დადგომის შემთხვევაში ახალგაზრდებმაც უნდა გაითვალისწინონ, რომ მათი მონაპოვარი არ უნდა შეაფასონ, როგორც ხელისუფლების მიერ გამოცხადებული კაპიტულაცია.

***– ისევ რუსთავი 2-ს დავუბრუნდეთ. ზემოთ გვითხარით, რომ იმ შემთხვევაში, თუ მასზე კონტროლს ხელისუფლება დაამყარებს, ქვეყანაში თავისუფალი სიტყვის პრობლემა არ იქნება.***

– საქართველოში თავისუფალი სიტყვა აქამდეც იყო და მომავალშიც იქნება. რუსთავი 2 იყო ამ ფრონტზე ძლიერი იარაღი, მაგრამ არა ერთადერთი. თავისუფალი სიტყვა რომ არსებობს, ამაში ფასდაუდებელია მედიაგამოცემების წვლილი, რომლებიც წლებია ობიექტურობის სადარაჯოზე დგანან.

უკაცრავად, მაგრამ „ახალ თაობაში“, „ქრონიკა +“-ში, ან „თაიმერსა“ და „ნიუპოსტში“ გამოქვეყნებული ექსკლუზივები რითი აკნინებს თავისუფალ სიტყვას. ჩვენ საინფორმაციო ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც სამოქალაქო ჟურნალისტიკა წინა პლანზეა წამოსული. სოციალური ქსელები ნებისმიერ ადამიანს აძლევს იმის საშუალებას, რომ იყოს სამოქალაქო ჟურნალისტი.

***– ამ სამოქალაქო ჟურნალისტებისგან ხშირად ძალიან მაგარი ექსკლუზივები გაგვიგია.***

– კი, ხშირად მაგარ ექსკლუზივებსაც გვაწვდიან. ძუკნურის საინფორმაციო პორტალმა შეიძლება მსოფლიო დონის ექსკლუზივი გააძროს და ის რატომ არ უნდა იყოს პირველი მედიასაშუალება იმ პირობებში.

ამიტომ იმის ძახილი, რომ მე ვარ შენზე აღმატებული, სოლიდარობის მომენტებს კარგავს. ამას მე გაბრაზებული კი არ ვლაპარაკობ, ამას ვამბობ იმიტომ, რომ ვიცი – კორპირატიულ ბრძოლას მარტო ერთი ადამიანი ვერ მოიგებს.

აქვე ერთ საკითხსაც მინდა შევეხო, ეს როგორ ხდება, ქართული პოლიტიკის ამომავალი მზე, დასავლურ-ლიბერალური ღირებულებების კორიფე, ოპოზიციური პარტიებისა და გაერთიანებების იმედი, მისი ყოვლადუბანკირთუხუცესობა – მამუკა ხაზარაძე რუსთავი 2-ზე ენას რომ არ ასველებს.

რაც მის ჩაგრულობაზე მედიამ და გნებავთ რუსთავი 2-მა ვენები გადაიხსნა – მდუმარებით უხდის სამაგიეროს, თუ მდუმარებით გამოხატავს სოლიდარობას? არა და სექტემბერში პოლიტიკაში მოდის საზოგადოებრივი შარა-გზით...

ისე, ბანკირის რობინ ჰუდობას რომ იჯერებს, ის ხომ ბრიყვია, მაგრამ ხალხს რომ აჯერებს, მაგას ყველამ თავისი სახელი დაარქვას. თუმცა რა უნდა გაგიკვირდეს კაცს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ მის მოწოდებას რომ წაიკითხავ, გაპრავებას მოისმენ, „მომკლეს ბაბუ“ და მაინც მიესალმები. აჰა, მიმსალმებლებს და განსაკუთრებით რუსთავი 2-ს, მისი პოლიტიკური პრეზენტი „ნავაროჩენი“ კადრებით რომ წარმოადგინა, ხომ დაუფასა უკვე...

ცხადი ხდება – ქართული პოლიტიკური სპექტრისა და მედიის ნაწილი დემენციით დაავადდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ოქრუაშვილი: „რუსთავი 2“-ის საქმე პოლიტიკური პროცესია, მის უკან ივანიშვილი დგას“

ნათია ხურცილავა

გუშინ, 22 ივლისს „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ოქრუაშვილმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ „რუსთავი-2“-ის წილების დაყადაღებასთან დაკავშირებით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა.

**ირაკლი ოქრუაშვილი:**

– როგორც მოსალოდნელი იყო და სხვას არც ველოდით, საქალაქო სასამართლომ უარი გვითხრა ყადაღის დადებაზე „რუსთავი 2“-ის წილებზე იურისტებისთვის სრულიად სასაცილო მოტივით. თითქოს მოთხოვნა ყადაღაზე უნდა გაგვეკეთებინა სარჩელის შეტანასთან ერთად. ჩვენ სარჩელი არ შეგვიტანია, კანონით ამისთვის 10-დღიანი ვადა გვქონდა. სასამართლომ პინგ-პონგის პრინციპი გააგრძელა ჩვენთან ურთიერთობაში, გადმოგვიგდო გადაწყვეტილება იმისთვის, რომ ჩვენ ხელახლა მოვითხოვოთ ყადაღა. ახლა გვაქვს არჩევანი: გავასაჩივროთ ეს განჩინება თუ ხელახლა მოვითხოვოთ ყადაღა. ამ საკითხზე იურისტებთან ვიმსჯელებთ. ოთხშაბათ საღამომდე ისედაც ძალაშია რეესტრში ჩვენი განცხადება წილების გასხვისებაზე ყადაღის დადების თაობაზე და ოთხშაბათს მივიღებთ გადაწყვეტილებას.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი იქვე დასძენს, რომ სასამართლო კვლავ შერჩევითი სასამართლოს პრინციპით მოქმედებს, რადგან მან ქიბარ ხალვაშის მიერ სასამართლოში 2017 წელს შეტანილი განცხადების ზუსტად იდენტური განცხადება შეიტანა, რომელიც ხალვაშს დაუკმაყოფილეს და „რუსთავი-2“-ის წილებს ყადაღა დაადეს, განსხვავებით მისი განცხადებისა.

ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, მისთვის გაუგებარია, ქიბარ ხალვაშს პროკურატურაში სარჩელი ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებით რატომ შეაქვს.

– სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მართლაც გაუგებარი და აუხსნელია, რატომ შეაქვთ განაცხადი პროკურატურაში, ამას მე იურიდიულად ვერ ვხვდები, ერთი მარტივი მიზეზის გამო, სასამართლოში მე უკვე სამი წელია, რაც ვდავობ ფინანსურ ნაწილზე, რომ მას, ხალვაშს, ჩემი ვალი აქვს. მან ეჭვქვეშ დააყენა ამ ხელმოწერის ნამდვილობა და სასამართლომ იმის მიუხედავად, რომ სამი ექსპერტიზის დასკვნა წარმოვადგინეთ, ეს ხელშეკრულება ექსპერტიზაზე გადააგზავნა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში. უკვე 8 თვეა, რაც ხალვაში ხელმოწერების დატოვების მიზნით არ ცხადდება ექსპერტიზის ბიუროში. რა მოტივით შეიძლება იდავონ, ჩემთვის წარმოუდგენელია. კეთილი ინებოს და მიბრძანდეს, რათა ხელმოწერების ნიმუშები დატოვოს. ექსპერტიზას მისცეს საშუალება, რომ დასკვნა გააკეთოს, – განაცხადა გუშინ პრესკონფერენციაზე ირაკლი ოქრუაშვილმა.



– მილიონ 200 ათასი დოლარი ჯემალ ინაიშვილის მეშვეობით გადავუხადე დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს, პლუს უსასყიდლოდ გადავუფორმე „ჯორჯია ონლაინის“ 10%-იანი წილი, რომელიც მე მეკუთვნოდა. შემიძლია არ გავამხილო თუ რა თანხებით შევიძინე „რუსთავი-2“ ერთი მარტივი მიზეზის გამო, ამ საქმეზე ყველა სახის იურიდიული ხანდაზმულობა გასულია და დამთავრებული, მაგრამ ეს თანხა იქნა ჩემ მიერ მოზიდული იმ ადამიანების მხრიდან, რომლებისგანაც ნებართვა არ მაქვს, რომ მათი სახელები დავასახელო.

„ახალი თაობის“ კითხვაზე: იყვნენ თუ არა ეს ადამიანები მაშინდელი საჯარო მოხელეები? ყოფილი თავდაცვის მინისტრი პასუხობს – არა! არც ერთი მათგანი საჯარო მოხელე არ ყოფილა.

– მე მქონდა გარკვეული სახის კავშირები მაშინაც, მანამდეც და მის მერეც. 2003 წელს კონსპირაციებისა და შეთქმულების თეორიებს რომ აწყობდით და იძახდით „ვარდების რევოლუცია“ სოროსმა დააფინანსა ან ბიძინა ივანიშვილმა, 2003 წელს მთელი კამპანია ჩემ მიერ იქნა დაფინანსებული, – აცხადებს ოქრუაშვილი.

ირაკლი ოქრუაშვილი შეეხო საქმის მიმდინარეობას. ის ამბობს, რომ ნებისმიერი ადამიანი, ხალვაშის შემდეგ, „რუსთავი-2“-ის წილის შემძენი იქნება არაკეთილსინდისიერი მყიდველი.

– ნებისმიერი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს ის ხალვაშის მერე ამ წილების შემძენი, ის იქნება არაკეთილსინდისიერი მყიდველი და მას მოუწევს ამ წილების უკან დაბრუნება თუ ამ დავას ჩვენ წარმატებით დავასრულებთ. სასამართლო ყადაღას დაადებს თუ არ დაადებს, ჩვენთვის არსებითად და იურიდიულად არაფერი არ იცვლება. საყოველთაოდ და საჯაროდ ცნობილია, რომ მე დავა დავიწყე. თუ დვალი და აქიმიძე გახდებიან ახალი მფლობელები, მე მათთან დავას დავიწყებ იმ თანხის უკან დაბრუნებაზე და „ჯორჯია ონლაინის“ იმ წილის დაბრუნებაზე, რომელიც მე მათ მაშინ უსასყიდლოდ გადავუფორმე, – აცხადებს „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი.

ირაკლი ოქრუაშვილმა ასევე განაცხადა, რომ 2014 წელს, დვალისა და აქიმიძის წილების დათმობასთან დაკავშირებით ჩვენება არჩევნებში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერის სანაცვლოდ მისცა.

– პოლიტიკაში არსებობს ტერმინი: „ბინძური თეთრეულის“ გამოფენა. ჩემი მიზანი არ ყოფილა ამ თეთრეულის გამოფენა, მაგრამ რადგან დვალმა ისურვა ამ თემაზე საუბარი და რადგან გადაწყვიტეს „ბინძური თეთრეულის“ გამოფენა, მეც ასე ვპასუხობ: ჯერ ერთი, მე მაქვს კითხვა, საიდან ჩაუვარდა ხელში დვალს ჩემი დაკითხვის ოქმი, ის არ ყოფილა მხარე და ჩემსავით იყო დაკითხული. ე.ი. პროკურატურამ მისცა სისხლის-სამართლის საქმიდან გადაღებული ასლი, რომელიც მე თვითონ არ მინახავს, – აცხადებს ოქრუაშვილი.

ოქრუაშვილს საქმეში ახალი ფიგურანტი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი შემოჰყავს. ოქრუაშვილმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს უჩვენა ძველი ესემეს გზავნილი. ოქრუაშვილი დეტალურად იხსენებს თავის ჩვენებას, რომელიც პროკურატურას მისცა:

– 2014 წლის 1 აპრილს ვარ დაკითხული, 15 ივნისს კი იყო ადგილობრივი არჩევნები, როდესაც გორში მერობაზე კენჭისყრას ვაპირებ. ეს არის პერიოდი, როდესაც „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ ცხენზე ზის და მათთვის კონკურენციის გაწევა მარტივი საქმე არ არის. მე დავიწყე ურთიერთობების გარკვევა და საერთო ენის გამონახვა ბიძინა ივანიშვილთან იმისთვის, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო, მინიმუმ ხელი არ შემშლოდა და მაქსიმუმ მხარდაჭერა მიმეღო. ამისთვის შუამავლობა ვთხოვე პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს. ამაზე დათოსთან შეთანხმებით ვსაუბრობ. მან ივანიშვილისგან ძალიან მარტივი მესიჯი მომიტანა: პროკურორი შოთაძე დაუკავშირდება, ისაუბრონ და დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკოთ. პროკურორი შოთაძე დამიკავშირდა, ვისაუბრეთ და გორში მხარდაჭერის სანაცვლოდ მან მომთხოვა ჩვენების მიცემა იმ სახით, რა სახითაც მაქვს მიცემული, – განაცხადა გუშინ ოქრუაშვილმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ მიმართა მან საქართველოს პროკურატურას და რატომ არ მიმართა პარიზის ან ლონდონის სასამართლოს, რისი უფლებაც მას სამართლებრივად აქვს, ირაკლი ოქრუაშვილი პასუხობს:

– ეს არ არის ჩემთვის იურიდიული პროცესი, ეს არის ჩემთვის პოლიტიკური პროცესი, რადგან ამ ყველაფრის უკან დგას ბიძინა ივანიშვილი. ეს გამოწვევა მე მივიღე თავად ბიძინა ივანიშვილისგან და მე მზად ვარ ამ გამოწვევისთვის. ახლა მე ვაპირებ ბურთის ივანიშვილის მოედანზე გადაგდებას, ქართულ სასამართლოში სარჩელის შეტანის მეშვეობით, რომ გაირკვეს, ამ ქვეყანას მომავალი აქვს თუ არა, – აცხადებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი.

**უკვე 8 თვეა, რაც ხალვაში ხელმოწერების დატოვების მიზნით არ ცხადდება ექსპერტიზის ბიუროში. რა მოტივით შეიძლება იდავონ, ჩემთვის წარმოუდგენელია. კეთილი ინებოს და მიბრძანდეს, რათა ხელმოწერების ნიმუშები დატოვოს. ექსპერტიზას მისცეს საშუალება, რომ დასკვნა გააკეთოს.**

# დვალი: „ივანიშვილი წყვეტს, დათმობს თუ არა ქიბარი წილს და „რუსთავი 2“-თან მიგვიშვებენ თუ არა“

რუსთავი 2-ის დამფუძნებლის, დავით დვალის განმარტებით, ბიძინა ივანიშვილია ის პირი, რომელიც მასა და სამართლიანობის აღდგენას შორის დგას.

ამასთან, როგორც დავით დვალი განმარტავს, რუსთავი 2?-ის სარედაქციო პოლიტიკასა და კრიტიკული აზრს საფრთხე ემუქრება, რასაც ქიბარ ხალვაშის 22 ივლისის განცხადება ადასტურებს.

– რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობდი იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ის წყვეტს, დათმობს თუ არა წილს და რამდენს ქიბარ ხალვაში და ასევე, საერთოდ მიგვიშვებენ თუ არა რუსთავი 2-თან.

ჩვენ დღევანდელ განცხადებაში აქცენტს ვაკეთებთ იმაზე, რომ ჩვენ გვინდოდა და გვინდა დღესაც, რომ სამართლებრივი მექანიზმი გვეჭიროს, რომ დაზარალებულები, რადგანაც გვცნო პროკურატურამ, წინ წაწიოს საქმე და რამე სამართლებრივი ბერკეტი დაგვიტოვოს ბრძოლისთვის.

ეს იყო ჩვენი მთავარი მოთხოვნა და ზუსტად აქ გვგონია პრობლემა, რომ ბიძინა ივანიშვილი, არამარტო ქიბარ ხალვაში რას გვეტყვის, იმას წყვეტს, არამედ იმასაც, რომ პროკურატურა დუმს და თაროზე აქვს შემოდებული ჩვენი საქმე და არანაირად წინ არ იძვრის, – განაცხადა დავით დვალმა რუსთავი 2-თან საუბარში.



გუშინ, 22 ივლისს, რუსთავი 2-ის დამფუძნებლებმა – ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა განცხადება გაავრცელეს. განცხადებაში აქიმიძე და დვალი აღნიშნავენ, რომ მათსა და სამართლიანობის აღდგენას შორის, მათსა და მათ მიერვე დაფუძნებულ ტელევიზიას შორის ერთი ადამიანი დგას და ის არ არის ქიბარ ხალვაში.

ამასთან, არხის დამფუძნებლები მიიჩნევენ, რომ რუსთავი 2-მა უნდა მოახერხოს პარტიული ზეგავლენისგან გათავისუფლება, რათა აღიდგინოს გამოკვეთილად კრიტიკული და ჩასაფრებული მიუკერძოებელი მეთვალყურის (ე.წ. ვოჩდოგის), მეოთხე ხელისუფლების ფლაგმანის ფუნქცია.

# ინგუშები საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან შუამდგომლობას სთხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა და საკუთარი მიწების დაცვა ინგუშებს ძვირი დაუჯდათ. მართალია მათმა ხანგრძლივმა პროტესტმა შედეგი გამოიღო, კრემლი იძულებული გახდა იუნუს ბეკ ევკუროვი მოეშორებინა, მაგრამ ახლა სამაგიეროს გადახდის ჟამი დადგა.

მოსკოვმა ინგუშებს მათი ნების წინააღმდეგ წასვლა არ აპატია და რესპუბლიკაში მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო.

აპატიმრებენ ყველას, ვინც იმ ცნობილ აქციებში მონაწილეობდა. აქციები კი ინგუშეთის კუთვნილი მიწების ჩეჩნეთისთვის გადაცემის წინააღმდეგ იმართებოდა. და რაკი ამას რესპუბლიკის აწ უკვე ყოფილი მეთაური ევკუროვი უჭერდა მხარს, ხალხმა მისი წასვლა მოითხოვა.



თავისი ხალხის მტერი ევკუროვი პუტინმა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნა. უკმაყოფილო ინგუშებს კი ციხეში უკრა თავი.

ინგუშური და რუსული გამოცემების ცნობით, უკვე ასეულობით აქტივისტი დააკავეს, მათ შორის მოხუცები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც.

ამ რეპრესიების დროს ერთი გაუგონარი ფაქტიც მოხდა. ინგუში აქტივისტების განცხადებით, ამ დღეებში ახალგაზრდა ქალი დააკავეს, რომელიც აქციებში მონაწილეობდა.

ამ რესპუბლიკაში ქალებს იშვიათად აპატიმრებენ, ამიტომაც მოჰყვა ამ შემთხვევას ამხელა აჟიოტაჟი.

ინგუშები დარწმუნდნენ, რომ კრემლი არ ხუმრობს და ციხეში კიდევ ბევრი ადამიანი აღმოჩნდება. მათ დასაცავად კი ხმასაც არავინ ამოიღებს. რუსეთში ადამიანის უფლებები ფეხებზე ჰკიდიათ, დასავლეთს კი წარმოდგენა არა აქვს, რა ხდება ერთ პატარა რესპუბლიკაში, რომლის მოსახლეობაც 500.000-ს არ აღემატება.

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ინგუშებმა დასავლეთზე გასვლა საქართველოს დახმარებით გადაწყვიტეს.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, შემოდგომაზე სახალხო დიპლომატიის ფარგლებში საქართველოში ჩამოსვლას აპირებს ინგუშების დელეგაცია.

ისინი თბილისისგან ითხოვენ, რომ თბილისი მათ საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციაში დაეხმაროს. ინგუშებს სურთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ გაიგოს, რაც მათთან ხდება.

ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს თუ გადავხედავთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლება მათ ამაში არ დაეხმარება – მოსკოვის გაღიზიანებას მოერიდებიან.

საბედნიეროდ საქართველოში სხვა პარტიებიც არსებობენ და არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ინგუშების დახმარება მათ შეუძლიათ.

დაეხმარება თუ არა თბილისი ინგუშებს, ამას რამდენიმე თვეში ვნახავთ. არც ჩვენს ხელისუფლებას და არც სამოქალაქო სექტორს არ უნდა დაავიწყდეს ის, რაც ამ ერთმა მუჭა ხალხმა გააკეთა. ინგუშებმა აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი განაცხადეს. იგივე მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც. ასე რომ, ახლა ჩვენც შეგვიძლია მათი სიკეთის დაფასება.

# გია ხუხაშვილი: „ხალვაში ემსახურებოდა წინა ხელისუფლებას, ახლა ემსახურება „ოცნების“ ხელისუფლებას“

## „ხელისუფლებაში რომ მოვედით, მცდელობა მქონდა, „რუსთავი 2“-ის საქმე გამოეძიებინათ“

იაგო ნაცვლიშვილი

„რუსთავი 2“-ის საქმეზე ყოველდღე ახალ-ახალი გარემოებები იკვეთება. მაშინ როდესაც მთავარი კითხვაა, პროცესი დასრულდება თუ არა სამართლიანობის აღდგენით და შეინარჩუნებს თუ არა ტელეკომპანია სარედაქციო დამოუკიდებლობას, ხელისუფლება აქცენტს სულ სხვა რამეზე აკეთებს. მამუკა მდინარაძემ „იმედის“ ეთერში თქვა, რომ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, არასამთავრობო სექტორისა და ოპოზიციის წარმომადგენლები იტყუებოდნენ, როცა ამ საქმეზე მართლმსაჯულების მიკერძოებულ გადაწყვეტილებებზე საუბრობდნენო.

„რუსთავი 2“-ის თემის გარშემო არსებული კითხვებისა და მამუკა მდინარაძის ამ განცხადების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს:

***— „რუსთავი 2“-ის საქმეზე მამუკა მდინარაძემ ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის მისამართით თქვა, რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდა იტყუებოდნენ, როდესაც მართლმსაჯულებას არაობიექტური გადაწყვეტილების გამოტანაში ადანაშაულებდნენო. რისი მიღწევა სურთ ამ განცხადებით?***

— რა არის იცით? ასე ვთქვათ, რომ მართლმსაჯულების მიკერძოებულობა ძალიან ფართო თემა. მართლმსაჯულება შესაძლოა არ იყო მიკერძოებული რაღაც ნაწილში, იმ ნაწილში, რაც სტრასბურის კომპეტენციაა, რადგან მოგეხსენებათ, ის ამას ვერ გამოიძიებდა. თავისთავად დღესაც ჩანს, რომ ამ თემაზე კითხვები ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ეს იყო სტრასბურის სასამართლოს კომპეტენცია. დღემდე უცნობია, ვინ გადაიხადა, რამდენი გადაიხადა, ვისი ფული იყო, რა იყო წყარო და სიმართლეს ვისმენთ რამდენიმე სხვადასხვა მხრიდან. შესაბამისად, მოვლენების ლოგიკა ითხოვს ამ თემის სერიოზულ გამოძიებას. შეიძლება ვიღაცა ეთანხმება, რომ ჯანდაბას, ხალვაშის იყოსო, ეს ყველას პირადი გემოვნების საქმეა, მაგრამ ისიც კი ეთანხმება, რომ ხალვაშის მფლობელობაში იყოს, იმასაც კი არ სჯერა, რომ ხალვაში რეალური მფლობელი იყო და არა ნომინალური ფიგურა ამ კომპანიაში.

შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ სანამ „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით არ დადგინდება ჭეშმარიტება და სანამ არ აღდგება რეალური სამართლიანობა, მაშინ სულ ამ უბედურებაში ვიქნებით. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ არ მივიღოთ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება. მას პატივი უნდა ვცეთ და უნდა აღსრულდეს, ეს გასაგებია, მაგრამ ეს არ ხსნის ამ საკითხს, რომ თემა სერიოზულად გამოსაძიებელია. ასე რომ, დღეის მდგომარეობით ეს მოცემულობაა.

რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან არასამთავრობო სექტორის კრიტიკას, ეს ხომ უკვე ჩვეულებრივი ამბავია?! რამე ახალია?! რაც არ უნდა ილაპარაკოს მდინარაძემ, ჩინჩალაძის და მურუსიძის ობიექტურობაში ნამდვილად ვერ დამარწმუნებს! იმიტომ, რომ ესენი არიან ხალხი, რომლებიც წინა ხელისუფლებას ემსახურებოდნენ და ახლა ამ ხელისუფლებას ემსახურებიან. იგივე რიგშია ხალვაშიც, მაშინ ემსახურებოდა წინა ხელისუფლებას, ახლა ემსახურება „ოცნების“ ხელისუფლებას. რაც ბიზნესმენისთვის მაინცდამაინც შესაფერისი საქციელი არ არის.

***— ანუ, თქვენ მიიჩნევთ, რომ თუკი ვსვამთ კითხვას, საიდან ჰქონდა 7 მილიონი ირაკლი ოქრუაშვილს, ასევე უნდა გაეცეს პასუხი ხალვაშის ფინანსებთან მიმართებითაც?***

— რა თქმა უნდა. კი ბატონო, გვეუბნებიან და მეც ვადასტურებ, რომ ის იყო წარმატებული ბიზნესმენი, მაგრამ მასზე ბევრად უფრო წარმატებული ბიზნესმენია მამუკა ხაზარაძე. ხომ დაისვა კითხვები ხაზარაძესთან დაკავშირებით? აქაც, თუ ხალვაში ამბობს, რომ მან გადაიხადა თანხა, ამიტომ, როგორც ბიზნესმენმა და კეთილსინდისიერმა გადამხდელმა უნდა გვაჩვენოს ფულის წყარო – ეს იყო დივიდენდი, თავისი ბიზნესიდან ამოიღო თუ რა. შესაბამისად, უნდა არსებობდეს საბანკო დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ მან ეს ფული გადაიხადა. სადღაც ამის კვალი უნდა არსებობდეს. თუ ის ამ კვალს არ გვაჩვენებს, მაშინ ეს გამოვა ფულის გათეთრების კლასიკური ოპერაცია, თვითონ არ იცის? ეს არის დანაშაული და მას ხანდაზმულობის ვადა აქვს ძალიან გრძელი. შესაბამისად, უნდა ვკითხოთ ხალვაშს, რომ ამბობს ფული გადავიხადე, რა ფული გადაიხადა.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულთან. ეს არის ფულის გათეთრება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზება ჰქვია ამას. მე არაფერს არ ვამტკიცებ, მაგრამ აქედან გამომდინარე იმდენი კითხვის ნიშანი გაჩნდა ამ საქმესთან დაკავშირებით, რომ საჭიროა ჩატარდეს სრულფასოვანი გამოძიება, რასაც ითხოვენ დვალი და აქიმიძე უკვე მრავალი წლის განმავლობაში.

ამ საქმის სათავეებთან მეც ვიყავი და სიმართლე გითხრათ, მქონდა მცდელობა, რომ გამოძიება ჩატარებულიყო, მაგრამ არ ჩატარდა. ბოდიში ამ სიტყვისთვის, მაგრამ ახლა სიტუაცია ისე აქოთდა, რომ გამოძიების აუცილებლობა სახეზეა, იმიტომ, რომ სხვანაირად ინსტიტუტების კოროზია გამოჩნდება.



***— თქვენ როდის გქონდათ მცდელობა, რომ საქმე გამოძიებულიყო?***

— მე მქონდა მცდელობა 2012 წელს. ჩვენ როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, დვალმა გამოთქვა ჩემთან შეხვედრის სურვილი. შევხვდით ჩვენ და მომიყვა ისტორია. ის ისტორია, როგორც ამას თვითონ ხედავდა. შეიტანეს სარჩელი მაშინ პროკურატურაში, მაგრამ გამოძიება არ ჩატარებულა.

***— ხელისშემშლელი პირი იყო ვინმე თუ რატომ არ ჩატარდა?***

— მე არ წავალ შორს. მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებისთვის დვალი ვერ იქნებოდა კომფორტული ფიგურა. როგორც გაირკვა არც წინა ხელისუფლებისთვის არ იყო კომფორტული ფიგურა და არც დღევანდელის არ არის. იმიტომ, რომ დვალი არ არის ადამიანი, რომელიც ჩაჯდება რაღაც პროპაგანდისტულ ჩარჩოებში. მას ვერ ჩასვამ, სხვებისგან განსხვავებით. აქედან გამომდინარე მასთან თანამშრომლობა ხელისუფლებისთვის მაინცდამაინც საინტერესო არ იყო. ასეთია ჩემი ვარაუდი. ხალვაშთან საინტერესოა იმიტომ, რომ სავარაუდოდ სუსტი პოზიციების მქონე ადამიანია ამ თემასთან დაკავშირებით და საკმაოდ ადვილი სამართავია.

***— საინტერესო თემა წამოჭერით. თქვენ, როდესაც ივანიშვილის მრჩეველი იყავით, არ მიგიციათ მისთვის რჩევა, რომ დაევალებინა გამოეძიებინათ ეს საქმე და რა პოზიცია ჰქონდა მას?***

— მე თავს შევიკავებ დეტალებისგან. მე შემიძლია ზოგადად ვილაპარაკო, მაგრამ ჯერჯერობით მე არ ვაპირებ კონკრეტულ თემებზე საუბარს, სხვადასხვა მიზეზების გამო, უბრალოდ, მე მგონია, რომ ამ ეტაპზე ჩემგან სწორი არ იქნება. მე შემიძლია ვთქვა, რომ სჯობს ყველაფერზე გამოძიებამ ილაპარაკოს და არა მე ან სხვამ.

ამ ქვეყანაში სიტყვამ ფასი დაკარგა. კი ბატონო, მე შემიძლია ვთქვა რაღაცები, მაგრამ რაც არ უნდა ვთქვა, ვიღაცა იტყვის, რომ არა, ეს ასე არ ყოფილა. კი ბატონო, მე დოკუმენტურად დადასტურებაც შემეძლოს, მაგრამ მე მირჩევნია, რომ ეს ყველაფერი გამოძიებამ დაადასტუროს.

***— ოქრუაშვილმა გამოაქვეყნა დოკუმენტი და დასტურდება, რომ ხელშეკრულება ჰქონდა დადებული ხალვაშთან. ხომ არ ჭიანურდება ის, რომ მისი ავთენტურობა დაადგინოს ექსპერტიზამ?***

— ესეც არის იმ დიდი გამოძიების ნაწილი. დიდი გამოძიება უნდა შედგეს. მათ შორის ამ დოკუმენტის ცალკე განხილვა აზრს კარგავს, ისევე, როგორც სხვა ცალკეული ფრაგმენტების და იქმნება აჯაფსანდალი. ეს ყველაფერი უნდა გაერთიანდეს და ერთი დიდი გამოძიება უნდა ჩატარდეს. ყველას როლი, დანაშაულის ხარისხი თუ დაზარალებულად ცნობა გამოძიებამ უნდა გამოკვეთოს და არა ის, რომ სტრასბურის სასამართლომ დადოს შედეგი. სტრასბურის სასამართლომ ძალიან შეზღუდული კომპეტენციის ფარგლებში მიიღო თავისი გადაწყვეტილება. მან მოახდინა მართლმსაჯულების მოქმედების ანალიზი და მეტი არაფერი. იმის უკან რამდენი პრობლემაა, ეს რომ გაეგოთ სტრასბურში, ყველას თავი უნდა მოეკლა. ჩვენთან თავს არავინ მოიკლავს და იმათ აქვთ იმდენი სინდისი, რომ მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ.

***— ბოლოს გვითხარით, რა მოლოდინი გაქვთ და გჯერათ, რომ ხალვაში არ შეზღუდავს სარედაქციო დამოუკიდებლობის ხარისხს?***

— მე მოლოდინებზე ვერ ვისაუბრებ, ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება. მე შემიძლია ვთქვა, რა არის გასაკეთებელი, თუ ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში. გასაკეთებელია ის, რაზეც გესაუბრეთ. გააკეთებს ხელისუფლება? კარგი იქნება, არ გააკეთებს? მაშინ ადრე თუ გვიან პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე მოუწევს. იმიტომ, რომ არგაკეთებულ საქმეებზე და არაღსრულებულ სამართალზე თანამონაწილე ხდება. თუ ხელისუფლება არ იძიებს, მაშინ ისიც წინა ხელისუფლების დანაშაულის თანამონაწილე ხდება ამ ქმედებებით.

> **ამ ქვეყანაში სიტყვამ ფასი დაკარგა. კი ბატონო, მე შემიძლია ვთქვა რაღაცები, მაგრამ რაც არ უნდა ვთქვა, ვიღაცა იტყვის, რომ არა, ეს ასე არ ყოფილა. კი ბატონო, მე დოკუმენტურად დადასტურებაც შემეძლოს, მაგრამ მე მირჩევნია, რომ ეს ყველაფერი გამოძიებამ დაადასტუროს**

# ბანკებს მოგება თითქმის გაუნახევრდათ




2019 წლის ივნისში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 33,993 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით, 29,991 მლნ ლარით, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 13,940 მლნ ლარით ნაკლებია.

კერძოდ, ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის ივნისში ბანკების წმინდა მოგება/ზარალი 47,933 მლნ ლარი, ხოლო 2019 წლის მაისში – 63,984 მლნ იყო.

ამასთან, მიმდინარე წლის ივნისში, ბანკების შემოსავლებმა 345,001 მილიონი ლარი, ხოლო ხარჯებმა 309,542 მილიონი ლარი შეადგინა. გარდა ამისა, 2019 წლის ივნისში კომერციული ბანკების მიერ ჯარიმებიდან/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა 5,751 მილიონი ლარი; საკონვერსიო ოპერაციებიდან, ანუ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგება/ზარალმა 3,315 მილიონი ლარი შეადგინა. ამასთან, წინა თვეში ბანკებმა საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან 26,071 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ივნისში ბანკებმა 1,213 მილიონი ლარის მოგების გადასახადი გადაიხადეს.

ცნობისთვის, გასულ წელს კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 917,721,344 ლარი შეადგინა.

BPN

# თემურ ჭყონია: „თუ ეროვნული ბანკი არ ერევა ლარის გამყარებაში, მაშინ მისი ფუნქცია უნდა გადაიხედოს“



ბიზნესმენი, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ დამფუძნებელი თემურ ჭყონია ლარის არასტაბილურობის გამო, ეროვნული ბანკის ფუნქციების გადახედვის საჭიროებას ხედავს. მისი განმარტებით, ლარის არასტაბილურობა ქვეყნის ეკონომიკის განმსაზღვრელია და არამარტო ბიზნესის. გარდა ამისა, არასტაბილური ლარი მოქმედებს ყველაფერზე, მათ შორის ბიზნესზე, რადგან ქვეყანაში ყველაფერი სწორედ ბიზნესისგან იწყება.

– ლარის დღევანდელი სიტუაცია ყველაფერს ურთულეს სიტუაციაში აყენებს. დღეს არასტაბილურობა და არაინფორმირებულობაა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სიწყნარე, გამოსვლების დროს თავდაჯერებელი საუბარი იმაზე, რომ ქვეყანაში არაფერი ხდება ცუდი და ისეთი, რაც არ უნდა მოხდეს, გასაოცარია. ასე გაგრძელება წარმოუდგენელია. ჩემი აზრით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი უნდა გამოვიდეს და ღრმად და სერიოზულად აუხსნას არამარტო ბიზნესს, არამედ, მთელს სახელმწიფოს, რა გეგმები აქვთ და სად ხედავს მარეგულირებელი თავის საჭიროებას. თუ არ ერევა ლარის გამყარებაში და მარტო აფიქსირებს რა ხდება ბაზარზე, მაშინ მისი ფუნქციაც უნდა გადაიხედოს, – აცხადებს „კომერსანტთან“ ჭყონია.

როგორც ჭყონია აღნიშნავს, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა აისახება იმ პროექტებზეც რომლის განხორციელებაც იგეგმება ან ამჟამად მიმდინარეობს.

მისი თქმით, პროექტები, რომელიც მას აქვს დაწყებული, დიდი ხანია იგეგმებოდა, წლების წინ შექმნილია და ეხლა კორექტირებას განიცდის, თუმცა, მაინც გრძელდება. ბიზნესმენი აცხადებს, რომ პროექტები უნდა გაგრძელდეს, სხვა გზა არ არის.

# 2019 წლის მეორე კვარტალში საქართველოში ავტოავარიების შედეგად 108 ადამიანი დაიღუპა



მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საქართველოს მასშტაბით 1.427 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რომელთა შედეგად 108 ადამიანი დაიღუპა, დაშავდა 1.929. ინფორმაციას ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს.

უწყების მონაცემებით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევ სავარაუდო მიზეზებს შორის წამყვანია შემხვედრი მოძრაობის ზოლში გადასვლა ან გასწრების წესების დარღვევა, სიჩქარის გადაჭარბება, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, დისტანციის დაუცველობა.

შემთხვევების დიდი ნაწილი – 850 ავარია მსუბუქი ავტომობილის მონაწილეობით მოხდა, 58 მოტოციკლის, 58 კი სატვირთო ავტომობილის. მოტოციკლის მონაწილეობით მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მეორე კვარტალში სამი ადამიანი დაიღუპა.

2018 წლის იგივე პერიოდში გზებზე მომხდარი 1.302 შემთხვევის შედეგად, 116 ადამიანი დაიღუპა, 1.779 დაშავდა.

# კახა კუკავა: „ნაციონალური მოძრაობა კანონით უნდა აიკრძალოს“

## „მიტინგებზე ხალხის შემცირებამ „ოცნების“ არაადეკვატურობა გაზარდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია თავისუფალი საქართველოს ლიდერი **კახა კუკავა** პასუხობს.

***– ბატონო კახა, სასამართლოს თემამ თითქოს უკანა პლანზე გადაინაცვლა, არადა, ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. როგორია თქვენი შეფასებები?***

– ამ ყველაფერს ექნება გრძელვადიანი შედეგები, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ ყველაფერს ექნება მოკლევადიანი პოლიტიკური შედეგებიც და ხელისუფლება ამას ვერ აცნობიერებს.

***– რას ვერ აცნობიერებს?***

– მე ადრეც მითქვამს, რომ 2020 წლის არჩევნებამდე საქართველო ნაღმზე ზის და ეს ნაღმი შეიძლება ძალიან პატარა მიზეზით, პატარა უსამართლობის გამოც კი აფეთქდეს. დიდი უსამართლობა დაგროვდა ბოლო 7 წლის მანძილზე ქვეყანაში. გავრილოვის კობახიძის სკამზე ჩამოჯდომამ ვნახეთ, რა ამბავი გამოიწვია.

***– სასამართლოს თემა უარეს პროტესტს გამოიწვევს?***

– სასამართლოს თემა ბევრად უფრო დიდი უსამართლობის შემცველია, ვიდრე გავრილოვის ინციდენტი, ამიტომაც, მე ვფიქრობ, რომ თუ გამოტანილი იქნება ისეთი სია, რომელშიც იქნება ის სიფათები, რომელთაც ვუყურებდით ბოლო წლების მანძილზე იუსტიციის საბჭოში, მაგალითად, გაბინაშვილი, მიქაუტაძე და სხვები, ეს გამოიწვევს ძალიან ფართომასშტაბიან პროტესტს და ეს უკვე აღარ იქნება მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის პროტესტი.

ასე თუ ისე, ეს სიტუაცია ხელისუფლებამ როგორღაც გადააგორა.

***– გადააგორა კი?***

– მეტ-ნაკლებად 20 ივნისის პროტესტი ჩაცხრა იმის გამო, რომ ეს იყო ნაციონალური მოძრაობის პროტესტი, მაგრამ თუ დაიწყო ქუჩაში პროტესტი არა ნაციონალური მოძრაობის, არამედ სხვა დანარჩენი ოპოზიციის ეგიდით, ხელისუფლებას ამ პროტესტის გადატანა ბევრად უფრო გაუჭირდება.

ამიტომ მივმართავ ხელისუფლებას, რომ ეს პროცესი უნდა შეჩერდეს. ის, რაც ხდება იუსტიციის საბჭოში, არის აბსოლუტურად მიუღებელი, ეს არის ძალიან სახიფათო პროცესი, ამორალური, ანტიკონსტიტუციური, ეს პროცესი უნდა შეჩერდეს.

როგორც საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შეიქმნა, აქაც უნდა შეიქმნას ინტერპარტიული ჯგუფი, ხელისუფლებამ უნდა გახსნას დიალოგი ოპოზიციასთან, უნდა მომზადდეს ახალი კანონმდებლობა და ამ ახალი კანონმდებლობის ფარგლებში უნდა მოხდეს ხელახლა უზენაესი სასამართლოს და ზოგადად სასამართლო სისტემის დაკომპლექტება.

***– წამსვლელია ამაზე „ოცნების“ ხელისუფლება?***

– ჩვენი ყველა პროგნოზი აუხდა ამ ხელისუფლებას. მარტო თქვენი გაზეთი რომ ეკითხათ, ის არ მოხდებოდა, რაც მოხდა. ახლა მინდა ვუთხრა მათ, რომ ან ეს შეჩერდება, ან სექტემბერ-ოქტომბერში ისეთს მიიღებენ, რომ 20 ივნისი მოენატრებათ.

***– ანუ შემოდგომაზე ფართომასშტაბიან პროტესტს პროგნოზირებთ?***

– პროტესტის განახლებას აქვს ორი ძირითადი მიზეზი. ერთი არის საზოგადოებაში დაგროვილი უსამართლობის და პროტესტის განცდა დღევანდელი რეჟიმის მიმართ. „ოცნების“ რეჟიმს დღეს აქვს ნულოვანი ლეგიტიმაცია. ეს არის ობიექტური მიზეზი პროტესტის. გარდა ამისა, პროტესტს აქვს სუბიექტური მიზეზი, რომ ქვეყანაში არსებობს ტერორისტული ორგანიზაცია ნაციონალური მოძრაობის და „ევროპული საქართველოს“ სახით, რომელიც დაინტერესებულია, რომ ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში მოაწყოს არეულობა, პროვოკაცია და პუტჩი.

ამიტომ, პატარა ნაპერწკალიც კი საკმარისია, რომ ეს ორი მიზეზი გადაიზარდოს დიდ არეულობაში. ჩვენი ამოცანაა, რომ ეს ორივე მიზეზი აღმოვფხვრათ.

***– როგორ მოახერხებთ ამას?***

– ნაციონალური მოძრაობა კანონის ძალით უნდა აიკრძალოს. ხოლო მეორე მიზეზს რაც შეეხება, უსამართლობის განცდის აღმოფხვრას, ამასაც სჭირდება ძირეული რეფორმების გატარება, რაც ამ ხელისუფლებას არ შეუძლია და ეს პროცესი უნდა დაიწყოს 2020 წლის შემდეგ.

ამ ორი ძირითადი პრობლემის აღმოფხვრა დაიწყება მხოლოდ მომავალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. მანამდე, ეს ერთი წელი, ჩვენ ვართ ნაღმზე. ნაციონალური მოძრაობა, როგორც ქვეყნის მტერი, დადის და ქვეყნის ყველა კუთხეში ეძებს, აბა სად შეიძლება არეულობის მოწყობა. აბა სად შეიძლება ცეცხლი წავუკიდოთ, სად ცეცხლზე ნავთი დავასხათ. ამ დროს, როცა ნაციონალური მოძრაობა ასე დადის, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ტვინი, რომ ქაღალდი და შეშა არ დაყაროს ყველა კუთხეში.

***– შესაძლოა სწორედ სასამართლოს თემა გახდეს ადვილად აალებადი?***

– ეს გავრილოვის თემაც გამოწვეული იყო სასამართლოს თემიდან, იმიტომ, რომ გავრილოვის თემას წინ რა უძღოდა, უნდა გავიხსენოთ. ეს იყო საპრეზიდენტო არჩევნები, როცა პირველი ტურის შემდეგ ხელისუფლებამ და პირადად ბიძინა ივანიშვილმა ბოდიში მოიხადა საზოგადოების წინაშე და თქვა, რომ ის გამოასწორებდა იმ შეცდომებს, რაც დაშვებული იქნა გასული 6 წლის მანძილზე.

და გამოსწორების ნაცვლად რა მოხდა?! ზუსტად საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე მათ დაიწყეს მურუსიძეების და ჩინჩალაძეების წარდგენა უზენაეს სასამართლოში. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომლის გამოც საზოგადოებამ საბოლოოდ ზურგი შეაქცია ამ ხელისუფლებას. ხოლო გავრილოვი უკვე საბაბი იყო.

***– „ოცნება“ ასწრებს და ცდილობს, რომ 2020 წლამდე მაქსიმალურად გაიმყაროს პოზიციები სასამართლო ხელისუფლებაში?***

– დიახ და ეს არის აბსოლუტურად უაზრო



გეგმა. მორჩა, „ქართული ოცნება“ არის წარმავალი, მან თავისი მოჭამა, ახლა არის 2 ვარიანტი – ან მოიგლიჯავენ, ან წავა ეტაპობრივად. ჩვენ ვთავაზობთ, რომ ცივილურად, ეტაპობრივად დატოვონ ხელისუფლება.

თუ ისევ მურუსიძის სასამართლოს დაგვასვამს თავზე, მაშინ არჩევნებამდე კი არ მივა სიტუაცია, მაშინ ნაციონალური მოძრაობა მოაწყობს ქუჩაში ისევ რევოლუციას, ეს რევოლუცია დაამხობს „ოცნების“ ხელისუფლებას და „ოცნება“ ციხეში წავა და ჩვენ აფსაიტში. აი, ეს იქნება საბოლოო შედეგი.

***– „ოცნებას“ იმედი აქვს, რომ სასამართლოში გამყარებული პოზიციით შეინარჩუნებს ხელისუფლებას?***

– მსოფლიო ისტორია არ იცნობს სასამართლოს გზით შენარჩუნებულ ხელისუფლებას. არა აქვს „ოცნებას“ არანაირი რესურსი, რითაც შეუძლია ხელისუფლების შენარჩუნება.

ხელისუფლების შენარჩუნება თუ გინდა, ან ხალხი უნდა გიჭერდეს მხარს, ან შეიარაღებული ძალები ან საგარეო პარტნიორები უნდა გყავდეს ისეთი, რომლებიც ამაში დაგეხმარებიან. „ქართულ ოცნებას“ ეს ყველაფერი არ აქვს. ნულოვანი რეიტინგი აქვს, არანაირი შეიარაღებული ძალები არ ჰყავს და ეს 20 ივნისს კარგად გამოჩნდა.

მე მგონი, დღეს ნაცებს უკეთესად შეიარაღებული ბანდები ჰყავთ და ამის გამოძიებასაც რომ თავი ვერ დაადგეს, ესეც ამ ხელისუფლების უუნარობაზე მეტყველებს. მშვენივრად ვარ მე ინფორმირებული, ვის ჩამოჰყავს, საქართველოს რომელი რეგიონებიდან ჩამოჰყავთ შეიარაღებული ჯგუფები და ვინ არიან მათი შეიარაღებით დაკავებული.

***– თქვენ იცით და ხელისუფლებამ არ იცის ეს?***

– როგორ არ იცის, ძალიან კარგად იცის და ერთმანეთში ჭორაობენ ამ თემაზე ყავაზე, თორემ პროკურატურა კი არ ატარებს გამოძიებას. ახლა ზუსტად ის პროცესები მიმდინარეობს, რაც ხდებოდა 1991 წელს, როდესაც ზვიად გამსახურდიამ უარი თქვა, ხელი მოეწერა ესენგეს ხელშეკრულებაზე და მაშინ კრემლიდან გაიცა დავალება.

ეს დავალება მისცეს ედპ-ს, ეს დავალება მისცეს მხედრიონს, ეს დავალება მისცეს მათ, აგერ დღეს რომ ევროპულ საქართველოში არიან, იმ ლიდერებს, მისცეს ქვეყნის ყველა მოღალატეს და ჯაშუშს, რომ როგორმე უნდა მოუწყოთ გამსახურდიასთვის არეულობა.

ჯერ კიდევ არაფერი არ ხდებოდა, სრული სიმშვიდე იყო, მაგრამ კარგად მახსოვს, თვითონვე მოაწყვეს მიტინგი კინოს სახლთან, 2 სექტემბერს 20 კაციანი და მერე თვითონვე დაარბიეს. ყველანაირ პროვოკაციაზე მიდიოდნენ. კარგად მახსოვს, ღამე როგორ გამოვარდებოდნენ თბილისის ქუჩებში და ყვიროდნენ, გამსახურდიამ ხალხი ჩახოცა შავნაბადაზეო. მეორე დღეს კი გაირკვეოდა, რომ არაფერი მომხდარა.

***– ამას რატომ იხსენებთ?***

– გარწმუნებთ, რომ სექტემბრიდან ეს სეზონი გამოცხადდება გახსნილად. დაიწყება გამოცხადებული პროვოკაციების ქრონიკა. ეს იქნება უეჭველად. ამიტომ ხელისუფლებას ხელში უნდა ეჭიროს დიდი სახანძრო შლანგი და წყალს უნდა ასხამდეს ყველაფერში. ჯერჯერობით, ნავთს ასხამს.

***– ეს უცოდინარობით მოსდის?***

– ეს მოსდის უცოდინარობით და სიხარბით. მესმის, რომ კარგია ხელისუფლებაში ყოფნა, მივლინებით საზღვარგარეთ სიარული, ტენდერებიდან წილების მიღება, ეს გაუტკბათ, მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. შეირგონ ის, რა სიკეთეებიც მიიღეს და ამით დაასრულონ თავისი მოღვაწეობა, თორემ ცუდად დაასრულებენ.

***– ხელისუფლება დარწმუნდა, რომ უმრავლესობით ვეღარ მოვა და კოალიციური მთავრობის მოდელზე ფიქრობს.***

– ეს სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო. „ქართულ ოცნებას“ გონება ცოტა ხნით გაეხსნა, სანამ ქუჩაში იყო ბევრი ხალხი, სანამ იყო დამხობის რისკი, რაც უფრო ხალხმა მიტინგებზე იკლო, ხელისუფლებაშიც არაადეკვატურობამ მოიმატა.

პროპორციულზე გადასვლა რომ შესთავაზეს საზოგადოებას, ეს იყო ყველაზე ბრძნული ნაბიჯი, რაც ამ 7 წლის მანძილზე გადაუდგამთ. დღეს „ქართულ ოცნებაში“ პოლიტიკური ლიდერების დეფიციტია. ყველა ლიდერი მიიყვანა და დანიშნა ბიძინა ივანიშვილმა. მათ წარსულში არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ ჰქონიათ. ამიტომ მე მათ მარტივ ენაზე ვუხსნი და ვეუბნები, რომ 2019-2020 წლები იქნება იგივე ქართული პოლიტიკისთვის, რაც იყო 1991 წელი.

გარედან მართული ბანდები, მათ შორის შეიარაღებულიც, ყველანაირად შეეცდებიან, რომ ქვეყანა არჩევნებამდე არ მივიდეს.

# რომან გოცირიძე: „თუკი ოქრუაშვილს რომელიმე სასამართლო „რუსთავი 2“-ს მიაკუთვნებს, შეიძლება, ივანიშვილი გამოხტეს და თქვას, მე მივეცი ფულიო“

„თუკი ირაკლი ოქრუაშვილს რომელიმე სასამართლო მიაკუთვნებს „რუსთავი 2“-ს, შეიძლება, ბიძინა ივანიშვილი გამოხტეს და თქვას, მე მივეცი ფულიო“,– ამის შესახებ რომან გოცირიძემ „2020ნეწს-“სთან განაცხადა.



მისი თქმით, „რუსთავი 2“– ის საქმე ჩახლართულია. მის ირგვლივ უამრავი ჭორი და სიმართლეა. რეალობას კი, მხოლოდ ახალი ხელისუფლების პირობებში, ბიძინა ივანიშვილისგან დამოუკიდებელი სასამართლო დაადგენს.

– ყველამ იცის, ვინც იმ დროინდელ ხელისუფლებაში იყო, რომ „რუსთავი 2“ ქიბარ ხალვაშზე იყო გაფორმებული. ის იყო ნომინალურო მფლობელი, დანარჩენი – ვინ გადაიხადა, რა გადაიხადა, როგორ გადაიხადა, ამაზე უამრავი ვერსიაა. ერთ – ერთი ვერსია მოვისმინეთ ირაკლი ოქრუაშვილისგან.

თუკი რომელიმე სასამართლო ირაკლი ოქრუაშვილს მიაკუთვნებს „რუსთავი 2“-ს, მერე შეიძლება, გამოხტეს ბიძინა ივანიშვილი და თქვას, ირაკლი ოქრუაშვილის კი არ არის, მას მე მივეცი ფული „რუსთავი 2“-ის შესასყიდად, ვინაიდან პატარკაციშვილი ჩემი დაუძინებელი მტერი იყო და მას ორი ტელევიზია რომ არ ჰქონოდა ხელში, ფული გადავიხადეო. შემდეგ შეიძლება, არც ერთი და არც მეორე ვარიანტი არ იყოს სწორი და სხვა ვარიანტი იყოს სწორი. „რუსთავი 2“-ის ირგვლივ უამრავი ჭორი და სიმართლეა. სიმართლეს კი მხოლოდ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ჩამოყალიბებული ობიექტური და სასამართლო დაადგენს, – აღნიშნა რომან გიცირიძემ.

მისი თქმით, საქართველოში არ არსებობს სასამართლო სისტემა.

– როდესაც ირაკლი ოქრუაშვილი ამბობს, რომ ეს არის მისი ხელმოწერა, რასაც ორი კერძო ექსპერტი ადასტურებს საქართველოში, ასევე პარიზის სასამართლო ადასტურებს მისი ხელმოწერის ნამდვილობას და ითხოვს, „რუსთავი 2“ დააყადაღონ, მანამ, სანამ სამხარაულის ექსპერტიზა არ დადებს პასუხს. სამხარაულის ექსპერტიზა დადებს იმ პასუხს, რაც უნდა საქართველოს სასამართლოს, სასამართლოს კი უნდა ის, რაც უნდა ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ოქრუაშვილს ეტყვიან, ეს შენი ხელმოწერა არ არისო. საქართველოს სასამართლოში რაიმეს ძიებას არავითარი აზრი არ აქვს. სასამართლო სისტემა თავიდან ბოლომდე უნდა დაინგრეს. ნულიდან უნდა აშენდეს სასამართლო და მაშინ გაირკვევა „რუსთავი 2“-ის ნამდვილი ისტორია. ბიძინა ივანიშვილმა თავისი პირით თქვა, ასჯერ გაიმეორეს სატელევიზიო არხებმა, რომ ქიბარ ხალვაში არ არის მესაკუთრე. ახლა დაიწყება აქიმიძე – დვალის პრეტენზიები და ა.შ. როდესაც ეროსი კიწმარიშვილი ცოცხალი იყო, ის აბსოლუტურად განსხვავებულ ვერსიას ამბობდა და ყველაზე კარგად მან იცოდა, რა ხდებოდა „რუსთავი 2“-ის თავს. ეს იმდენად ჩახლართული საკითხია, რომ ამას მხოლოდ ივანიშვილისგან დამოუკიდებელო სასამართლო გაარკვევს, – განაცხადა რომან გოცირიძემ. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს დეპუტატი ფიქრობს, რომ დაიწყებენ მის გაკოტრებას, არ გასცემენ ხელფასებს, თანამშრომლებს კი აიძულებენ, ტელევიზია დატოვონ.

– ზოგს ძალით გაუშვებენ, ზოგს წასვლას აიძულებენ. ახლა მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება, დიდი ხანი გაძლოს „რუსთავი 2“-მა, მოასწროს არჩევნები და შეიცვალოს ხელისუფლება, – აცხადებს რომან გოცირიძე.

# ხულოში მიკროავტობუსი ამოყირავდა — 1 ადამიანი დაიღუპა, 10 დაშავდა

ხულოს საავტომობილო გზაზე, სოფელ ვაშლოვანთან, სამარშრუტო მიკროავტობუსი ამოყირავდა. შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 10 – დაშავდა.

დაშავებულებიდან ორის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

– ერთი ჩვენთან მოსვლის მომენტში გარდაცვლილი იყო. 10-ს აქვს გარკვეული დაზიანებები, 2, სავარაუდოდ, იგზავნება ბათუმში შემდეგი კვლევისთვის, 8-ს არ აქვს ისეთი დაზიანებები, უახლოეს პერიოდში გაეწერებიან სახლში, – განაცხადა ექიმმა.

ხულოს მერი თქმით, მიკროავტობუსში თორმეტამდე მგზავრი იყო, მისივე თქმით, მსუბუქი დაზიანებები შვიდმა ადამიანმა მიიღო. ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილითაა დაწყებული, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

# გიორგი ლაღიძე: „საქართველო მყიფე დემოკრატიის მქონე სახელმწიფოა“

გულიკო ბალაძე

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს „მომავალი საქართველოს“ ლიდერი **გიორგი ლაღიძე** აფასებს.

***– ბატონო გიორგი, თქვენი დაკვირვებით ქვეყანაში პროცესები როგორ ვითარდება?***

– დღეს საქართველოში საკმაოდ რთული პოლიტიკური ვითარებაა. ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია. რაც ქვეყანაში ხდება გავრილოვის ჩამოსვლიდან დაწყებული, 20 ივნისიდან მოყოლებული, რასაც მოჰყვა მიტინგის დაშლა, საპროტესტო აქციები, დღემდე პოლიტიკური ტემპერატურის ძალიან მაღალ ნიშნულზე აწევას იწვევს. ძალიან მნიშვნელოვანია, ქართული საზოგადოების მხრიდან მომხდარი მოვლენების გაანალიზება, არჩევნების გზით ცვლილებების განხორციელება.

დღეს სახეზეა მძიმე სოციალური მდგომარეობა. ეროვნული ვალუტა კატასტროფულად არის გაუფასურებული, შეიძლება ითქვას, რეკორდულ ნიშნულსაც მიაღწია. ამ ფონზე ქვეყანაში ძალიან მწვავე პოლიტიკური პროცესებია, რასაც ერთვის „რუსთავი-2-ის“ საკითხი, რაც ასევე საზოგადოების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. სტრასბურის სასამართლო, ფაქტობრივად, ამ საკითხის არსებით განხილვაში არც შევიდა.

ხალხს ჰგონია, თითქოსდა ევროსასამართლომ გაარკვია, „რუსთავი-2“ ეკუთვნოდა თუ არა ქიბარ ხალვაშს. არა, ბატონო, საზოგადოებას ეს საკითხი არასწორად ესმის. ევროსასამართლომ დაადგინა, ჰქონდა თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვას ადგილი. ასევე ევროსასამართლომ დასაშვებობის საკითხი განიხილა.

ევროსასამართლო ამ საკითხების ძირეული განხილვით არ დაკავებულა. სტრასბურის სასამართლო მეოთხე ინსტანციის სასამართლო არ არის. ქართული სასამართლოს „დამსახურებაა“ ის, რომ თავისუფალ სიტყვას „რუსთავი-2-ზე“ საფრთხე ემუქრება. ამიტომ ეს თემაც ძალიან აქტუალურია.

***– რატომღაც ზოგიერთები, მათ შორის, რუსთავი-2-ელებიც საუბრობენ იმაზე, თითქოს თავისუფალი სიტყვის ერთადერთი ციტადელი „რუსთავი-2-ია“. სხვა ტელევიზიებიც არიან, რომლებიც ძალიან თავისუფლად გადმოგვცემენ კრიტიკულ ინფორმაციებს, მრავალმხრივი და თავისუფალი პრესაც არსებობს. ამიტომ მუდმივად იმის ძახილი, ჩვენ ვართ ერთადერთი და სხვა არავინო, შეურაცხმყოფელია სხვა ჟურნალისტებისთვის.***

– რა თქმა უნდა, ქვეყანაში მედიის ნაწილი თავისუფალია. მათ შორის, ტელევიზიების ნაწილიც თავისუფალია. თუმცა, „რუსთავი-2“ არის ერთ-ერთი მძლავრი, კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალება, რომელიც ხელისუფლების ინტერესს არ გამოხატავდა. ამ შემთხვევაში ეს ძალიან მნიშვნელოვანია. არის იმის საფრთხე, რომ ეს მედიაფანჯარა დღევანდელმა ხელისუფლებამ დახუროს. რაც უნდა იძახოს ქიბარ ხალვაშმა, რომ მას არ სურს სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა, ამას დრო გამოაჩენს.

ვფიქრობ, ქიბარ ხალვაში ცდუნებას ვერ გაუძლებს და



აუცილებლად ჩაერევა სარედაქციო პოლიტიკაში, რაც ხელისუფლების ინტერესებზე პირდაპირ აისახება.

***– ხელისუფლებამ ჩაიგდო თუ არა, ჯერ კიდევ გასარკვევია. ამით პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.***

– პროცესები ნელა განვითარდება. სარედაქციო პოლიტიკასაც ნელა შეცვლიან. საჭიროა ქვეყანაში მძლავრი, ზეპარტიული, თავისუფალი ტელევიზიის შექმნა, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებს გამოხატავს. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ხელისუფლებისაგან და კონკრეტული პარტიებისაგან დამოუკიდებელი ტელევიზიის შექმნა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ვართ მყიფე დემოკრატიის მქონე სახელმწიფო.

ჩვენი მიზანია ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ძალიან ძნელია დააჯერო დასავლელი პარტნიორები, რომ „რუსთავი-2-ის“ შემთხვევაში პოლიტიკური ინტერესი არ იკვეთებოდა. ამიტომ ჩვენი დემოკრატიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი, მძლავრი ტელევიზია შეიქმნას, რათა დემოკრატიული აზრი გაშუქდეს და არ გავიღვიძოთ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ტელევიზიები გადმოსცემენ, თითქოს სახელმწიფოში ყველაფერი კარგადაა, ამ დროს კი უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა – უმუშევრობაა და ქართველები უცხოეთში მიდიან სამუშაოდ.

***– დღეს უფრო მნიშვნელოვანია დავითგარეჯის საკითხი, სადაც ჩვენი ტერიტორია ორ სახელმწიფოს შორის სადავო თემადაა ქცეული.***

– დიახ, მიუხედავად საზოგადოების ძალიან დიდი აქტიურობისა, ფაქტობრივად, საქართველოს სახელმწიფოს სასიკეთოდ არაფერი იცვლება. ამ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლების დუმილი ღალატის ტოლფასი ქმედებაა. საგარეო საქმეთა მინისტრი და მისი მოადგილე აცხადებენ, რომ ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სიმშვიდე, რადგან კომისია მუშაობს. ამ კომისიამ მუშაობა როგორ ვერ დაასრულა.

პერიოდულად საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდონ, რას აკეთებს ეს კომისია. ამ ფონზე აზერბაიჯანელებმა ჯერ ტრაქტორებით გადათხარეს ჩიჩხიტურის ტერიტორია, შემდეგ უდაბნოს მონასტრიდან ხატები გამოიტანეს და ქართველ მღვდლებს გადასცეს, რასაც მოჰყვა ჩვენი საზოგადოების აღშფოთება.

შეიქმნა ისეთი მოცემულობა, რომ ვერც ჩვენი მომლოცველები და ვერც სასულიერო პირები ჩიჩხიტურის მონასტერთან ვერ მიდიან, რადგან აზერბაიჯანელებს აღნიშნული ტერიტორია ოკუპირებული აქვთ. სამწუხაროდ, ასეთი ვითარებაა.

***– როგორც ითქვა, ორი ქვეყნის კომისიები ადგილზე გავიდნენ და იქ გარკვეული სამუშაოები ჩაატარეს. ინფორმაცია ხომ არ გაქვთ, რაზე იმუშავეს, რა დაადგინეს?***

– რამდენადაც ვიცი, მხარეები 1938 წლის რუკებით ხელმძღვანელობენ. 1938 წლის რუკებითაც კი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი 500 მეტრის იქით არის აზერბაიჯანის მიმართულებით. აზერბაიჯანელებს სერთან ნამდვილად არაფერი ესაქმებათ. საინტერესოა, ამ საკითხთან დაკავშირებით დღევანდელი ხელისუფლება რატომ დუმს, რით ხელმძღვანელობენ, რა გარიგებას აქვს ადგილი. მაშინ, როდესაც აზერბაიჯანულ პრესაში ძალიან აქტიურად საუბრობენ იმაზე, თითქოს მათი ტერიტორიაა.

აზერბაიჯანელები დავითგარეჯის ტერიტორიას ქეშიკჩიდარს ეძახიან. საპირწონედ, ქართული სახელმწიფო რას აკეთებს? აბსოლუტურად არაფერს. საზოგადოება კი ვაქტიურობთ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ პროტესტით შემოვიფარგლებით. ხელისუფლების პირდაპირი ვალდებულებაა, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რასაც ისინი არ აკეთებენ. მე ამ დუმილს მოღალატეობრივს ვეძახი. საქართველოს ხელისუფლებამ ნება იბოძოს, გამობრძანდეს და საქართველოს მოსახლეობას უთხრას, რა ხდება დავითგარეჯის ირგვლივ. საქართველოს მოსახლეობა ჩვენი სიწმინდეების, ჩვენი ტერიტორიის გასხვისებას ნამდვილად არავის აპატიებს. ეს ერთმნიშვნელოვანი და ცალსახაა და ყველამ უნდა იცოდეს. დუმილით ამ საკითხს ვერ გადაფარავენ. სხვა თემების წამოწევითაც ვერ გადაფარავენ. ჩვენ ეს საკითხი მუდმივად გვექნება ყურადღების ცენტრში. სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება – სანამ ორივე მხარე არ აღიარებს, რომ დავითგარეჯი ჩვენს ტერიტორიაა, არ გავჩერდებით.

***– რას გეგმავთ?***

– აქტიურობას. აზერბაიჯანის საელჩოსთან ვაპირებთ აქციის მოწყობას. ამ საკითხზე ოფიციალურ წერილს ვაგზავნით. მუდმივი აქტიურობაა საჭირო, რადგან ხელისუფლებას დავითგარეჯი არ აინტერესებს. შეიძლება აზერბაიჯანულ მხარესთან გარიგებაში არიან. შეიძლება სხვა ინტერესი იყოს.

***– რა სხვა ინტერესზე საუბრობთ?***

– არ ვიცი. არ არის გამორიცხული, ვინმეს ბიზნესინტერესი ან სხვა ტიპის ინტერესი იკვეთებოდეს. რატომ დუმან ამ თემაზე, გამოვიდნენ და პირდაპირ განაცხადონ, რა ხდება. ამ შემთხვევაში დუმილი დანაშაულის ტოლფასი ქმედებაა.

# რა კავშირი აქვს თურქმენეთის მოვლენებს საქართველოსთან?

## რუსეთში ხილ-ბოსტნეულის შეტანის ახალი წესები დადგინდა

მარიამ მჭედლიშვილი

ექსპერტების დასკვნით, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე არეული ქვეყანა უკრაინა აღარ არის. ბოლო დროს პრობლემატური კონტურები გაჩნდა საქართველოში. მალე, საქართველოს გარდა, ცხელ წერტილად გადაიქცევა კასპიისპირა ბუნებრივი აირის რესურსებით განთქმული თურქმენეთი, რომელიც უმწვავესმა კრიზისმა მოიცვა.

ვრცელდება ურთიერთგამომრიცხავი ცნობები თურქმენეთის პრეზიდენტის ბერდიმუხამედოვის მდგომარეობის შესახებ. ზოგიერთი წყარო მის გარდაცვალებას იტყობინება.

მანამდე გამოქვეყნდა ლონდონის საგარეო პოლიტიკის ცენტრის მოხსენება გაზით მდიდარ თურქმენეთში ჰიპერინფლაციისა და შიმშილის თაობაზე.

ბრიტანელი მომხსენებლების დასკვნით, თურქმენეთში პროდუქტების დეფიციტი და შიმშილია. კრიზისით ისარგებლებენ რადიკალი ისლამისტები, რომელთა კონცენტრაცია შეინიშნება ავღანეთში. გაზისთვის ბრძოლაში ჩაერთვება სხვა არაერთი მოთამაშე.

თურქმენეთი ფლობს გაზის მსოფლიო მარაგის 10%-ს. მოსკოვთან უთანხმოების გამო აშხაბადმა 2016 წლიდან გაწყვიტა მასთან თანამშრომლობა ნახშირწყალბადების სფეროში. ცოტა ხნის წინ გაზპრომათან ურთიერთობა მცირე მოცულობით აღდგა.

წელს ქვეყანაში წყალდიდობამ მოსავალი



თითქმის გაანადგურა. ამას დაემატა ჰიპერინფლაცია.

რა კავშირი აქვს თურქმენეთის მოვლენებს საქართველოსთან? ჯერ ერთი, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებს უკვე დიდი ხანია, ერთ კონტექსტში განიხილავენ ენერგომატარებლების აღმოსავლეთიდან დასავლეთში ტრანსპორტირებისას. მეორეც, 2018 წლის შემოდგომაზე თურქმენეთში იმყოფებოდნენ გერმანელი პოლიტიკოსები და მეწარმეები. მათ პირობა დადეს, რომ გააქტიურდებიან ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტის რეალიზაციაში.

თუ აშენდა, თურქმენული ცისფერი საწვავი რუსეთის გვერდის ავლით, სამხრეთ კავკასიის და თურქეთის საშუალებით გავა ევროკავშირის ქვეყნებში.

შესაძლოა, ეს პროექტი შეთანხმებული იყოს რუსეთთან, ვინაიდან, გერმანია და რუსეთი ამ სფეროში ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. ეს პროექტი ყველასთვის მისაღები ვერ იქნება.

ექსპერტების აზრით, მალე შიმშილის ზღვარზე მყოფი თურქმენეთი იქცევა კონფლიქტის კერად, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან გაზით დაინტერესებული მოთამაშეები. მათ შორის, სახელდება ჩინეთიც, რომელიც რუსეთის მოკავშირედ ითვლება.

თუ მსხვილი მოთამაშეები ერთმანეთს ამის გამო დაუპირისპირდებიან, ამ კონფლიქტში მოჰყვება საქართველო და მთელი კავკასია.

რუსეთის ჩარევა კასპიის ზღვის რესურსების განკარგვაში კიდევ გასაგებია, მაგრამ არანაირი გამართლება არა აქვს მის ჩარევას სხვა სახელმწიფოების არჩევნებში.

პორტუგალიელი ექსპერტები გაოცებას ვერ მალავენ იმით, თუ როგორი ინტერესით აშუქებდა რუსეთი კვირას გამართულ უკრაინის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. მათი დაკვირვებით, კრემლი და მისი მედია ისე საუბრობს უკრაინაზე, როგორც საკუთარ ნაწილზე. რუსეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა დახმარებოდა მედვედჩუკის პლატფორმას.

ამასთან, ექსპერტები მიუთითებენ, რომ რუსეთმა თავისი სახელმწიფოს არჩევნებს უნდა მიხედოს. მათი აზრით, სამართლიანი და თავისუფალი ადგილობრივი არჩევნების ჩატარებით მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგს ანკარისა და სტამბოლის ბედი ეწევათ, სადაც ერდოღანის კანდიდატები დამარცხდნენ.

რუსეთის საარჩევნო ბიულეტენებში, მათი თქმით, ოპონენტები შეყვანილებიც კი არ არიან. პუტინის პარტიის გარდა, იქ მხოლოდ კომუნისტები და „სპრავედლივაია როსია“ ფიგურირებენ.

რუსეთში უკვე ლაპარაკობენ საქართველოს მომავალ საპარლამენტო არჩევნებზეც. ამაზე განსაკუთრებული ღელვა არ შეინიშნება. ეტყობა, რუსეთი დარწმუნებულია, რომ პარლამენტი ღია თუ შეფარული პრორუსული ძალებით გაივსება.

რუსი ჩინოსნები გვიმეორებენ, რომ ღვინისა და სხვა პროდუქციის ემბარგოს საკითხი საქართველოს მიმართ მოხსნილია. ამავე დროს, 19 აგვისტოდან რუსეთში ძალაში შედის ახალი წესები. ისინი ძირითადად ხილ-ბოსტნეულზე ვრცელდება.

თუ ადამიანი რუსეთის საზღვარზე თან იქონიებს 5 კილოგრამზე მეტ ხილს ან ბოსტნეულს და 3 თაიგულზე მეტს, მას ფიტოსანიტარულ სერტიფიკატს მოსთხოვენ.

რუსეთის მოქალაქეებში გრძელდება ასევე კამპანია ყველანაირი ქართულის ბოიკოტირების შესახებ. საუბარია ქართული ღვინის, ხილის, სიმღერების, რესტორნების უარყოფაზე.

# გორში კეთილმოწყობის სააგენტოს თანამშრომელი სატვირთოდან გადავარდა

გუშინ, 22 ივლისს, გორში მომხდარი შემთხვევის შედეგად, კეთილმოწყობის სააგენტოს თანამშრომელი, 60 წლამდე ასაკის მამაკაცი მძიმედ დაშავდა.

დაშავებული სასწრაფო დახმარების ჯგუფმა კლინიკა „გორმედში“ გადაიყვანა.

მორიგე ექიმის, დავით გასიტაშვილის განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა მძიმეა.

– შემოყვანილია 60 წლამდე ასაკის მამაკაცი. ჩვენი ინფორმაციით, იგი სატვირთო ავტომანქანის ძარიდან გადმოვარდა, რის შედეგადაც სხვადასხვა დაზიანებები მიიღო. კლინიკაში შემოყვანისას პაციენტის მდგომარეობა მძიმე იყო. იგი მოთავსებულია რეანიმაციულ განყოფილებაში. მიმდინარეობს შესაბამისი რეანიმაციული ღონისძიებები. პარალელურად უტარდება კვლევებიც და შემდგომი მკურნალობის გადაწყვეტილებას რეანომატოლოგები მიიღებენ, – განაცხადა დავით გასიტაშვილმა.

მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტოში აცხადებენ, რომ ორი დღის წინ გორში ჩატარებული ფეშენ ვიკის ორგანიზატორებმა კეთილმოწყობის სააგენტოს ბანერის გადატანა სთხოვეს და სწორედ აღნიშნული ბანერის ტრანსპორტირებისას მოხდა შემთხვევა.

კეთილმოწყობის სააგენტოს თანამშრომელმა ბანერის დაჭერა ველარ შეძლო და სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოვარდა.

# შსს — ირაკლი ოქრუაშვილი 23 ივლისს საქალაქო სასამართლოში დაიკითხება



შინაგან საქმეთა სამინისტრო „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილის 23 ივლისს დაგეგმილ დაკითხვასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

„23 ივლისს, 11:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში „გამარჯვებული საქართველოს“ დამფუძნებელი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ირაკლი ოქრუაშვილი მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით მოწმის სტატუსით დაიკითხება.

იგი სამართალდამცველების შეკითხვებს 20-21 ივნისს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით უპასუხებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, რომელიც ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას გულისხმობს, ირაკლი ოქრუაშვილი სამინისტროში გამოკითხვაზე 21 ივნისს იყო დაბარებული, თუმცა, არ გამოცხადდა. მიზეზად კი ის დაასახელა, რომ სურდა, დაკითხვა მხოლოდ მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით შემდგარიყო. იმავე დღეს, ირაკლი ოქრუაშვილმა განცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ითხოვა, რომ ვინაიდან იგი უცხოეთში მიემგზავრებოდა, დაკითხვის თარიღი და დრო მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩანიშნულიყო.

ყოფილი თავდაცვის მინისტრი სამართალდამცველების შეკითხვებს, მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით იმ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დასმულ შეკითხვებს უპასუხებს, რომელზეც გამოძიება 2 მუხლით სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ელი ნაწილი და 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს“ — აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ამირან დეკანოსიძის შვილის გატაცებისთვის 4 პირს 13, 14 და 15-15 წელი მიესაჯა

ბიზნესმენ ამირან დეკანოსიძის შვილის გატაცების საქმეზე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ორ წევრს — 15-15, ხოლო ორ წევრს 14 და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მძევლად ხელში ჩაგდებისთვის ბრალდებული, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი — მ.ე., თ.კ., მ.მ. და გ.ჩ. დამნაშავედ ცნო.



სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მძევლად ხელში ჩაგდებისთვის ნასამართლევმა მ.ე.-მ, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ყაჩაღობისთვის და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისთვის ნასამართლევმა და ქურდობისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა მ.მ.-მ, ქურდობისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა თ.კ.-მ, გ.ჩ.-მ და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებმა ა.დ.-სგან დიდი ოდენობით ფინანსური სარგებლის უკანონოდ მისაღებად, 2018 წლის 11 ოქტომბერს, მისი შვილი — გ.დ., მძევლად ჩაგდების მიზნით, მოტყუებით მიიყვანეს ქ.თბილისში, მუხიანის დასახლებაში სპეციალურად ნაქირავებ ბინაში, სადაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით აღუკვეთეს თავისუფლება.

მოგვიანებით ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა მძევლად აყვანილი გ.დ. წინასწარ სპეციალურად ნაქირავები „ტოიოტას“ მარკის „ვიტსის“ მოდელის ავტომანქანით, იძულებით გადაიყვანეს წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში მდებარე სახლში, სადაც ხელბორკილით დააბეს საწოლზე, აუკრძალეს გარე სამყაროსთან კონტაქტი და არ მისცეს თავისუფალი გადაადგილების უფლება.

აღნიშნულის შემდეგ ორგანიზებული ჯგუფის წევრები გატაცებულის მამას — ა.დ.-ს დაუკავშირდნენ და შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ უკანონოდ მოსთხოვეს 3 მილიონი ლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გ.დ.-ს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად აღნიშნული დანაშაული 2018 წლის 18 ოქტომბერს აღკვეთეს, მ.ე., თ.კ., მ.მ. და გ.ჩ. დააკავეს და მძევლად აყვანილი გ.დ. გაათავისუფლეს.

მ.ე.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, „ვ“, „ი“ და III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (მძევლად ხელში ჩაგდება არაერთგზის, ანგარებით, სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ), ხოლო თ.კ.-ს, მ.მ.-ს და გ.ჩ.-ს 144-ე მუხლის II ნაწილის „ვ“, „ი“ და III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (მძევლად ხელში ჩაგდება ანგარებით, სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ) წარედგინათ.

ოთხივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მ.ე., თ.კ., მ.მ. და გ.ჩ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად მ.ე.-ს და თ.კ.-ს 15-15 წლით, მ.მ.-ს — 14 წლით, ხოლო გ.ჩ.-ს — 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ,

# ლელა ქსოვრელი: „ჩემი შვილი ცემის შედეგად არ დაღუპულა“



სანზონაში 4 წლის ნინო ზალინაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით ბრალდებული დედა, ლელა ქსოვრელი დაიკითხა.

როგორც მისმა ადვოკატმა, თამარ დოხტურიშვილმა, „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ბრალდებული დედა მომხდარ ფაქტს ძალიან განიცდის და აცხადებს, რომ შვილი მისი ქმედების შედეგად არ მომკვდარა.

— ბრალდებული ბრალს არ აღიარებს. მან განმარტებები გააკეთა ყველა საკითხზე, რაც ბრალდებას აინტერესებდა. მან დაწვრილებით ახსნა ყველა ის სიტუაცია, რაც მის მიმართ კითხვების სახით არსებობდა.

ქსოვრელმა ისაუბრა, თუ როგორ პატრონობდა და უვლიდა ბავშვს და რომ ეს მისგან მომხდარი არ არის. მისივე თქმით, არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, რა ვითარებაში მიიღო ამ ბავშვმა დაზიანებები.

ის მომხდარს ძალიან განიცდის, ნერვიულობს, დედაა, რომელსაც შვილი გარდაეცვალა და ამ შვილის მკვლელობას ედავებიან, ძალიან მძიმე სიტუაციაა, — განაცხადა დოხტურიშვილმა.

გუშინ, 22 ივლისს, სასამართლო სხდომაზე ასევე დაიკითხნენ ქსოვრელის და და დედა.

— მოწმეებმა ისაუბრეს, თუ როგორი დედა იყო ქსოვრელი, როგორ უვლიდა თავის შვილებს, როგორ პატრონობდა და როგორ გამოიყვანა მინდობით ოჯახიდან შვილი, თავის თავზე აიღო მისი მკურნალობა. ბავშვს მინდობით ოჯახიდან გამოყვანის შემდეგ ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და ეს პრობლემები მისი გადასაწყვეტი იყო, ქსოვრელმა თავის თავზე აიღო, — განაცხადა დოხტურიშვილმა.

რას ამბობს ქსოვრელი მისი მეუღლის დაკავებაზე, რომელიც ასევე მეორე შვილის მიმართ ძალადობის ბრალდებით დააკავეს?

ამაზე დოხტურიშვილი აცხადებს, რომ ქსოვრელი ძალადობას უარყოფს:

— ლელა ქსოვრელი ყველანაირი სახის ძალადობას უარყოფს მისი და მისი მეუღლის მხრიდან.

შეგახსენებთ, რომ ლელა ქსოვრელი შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევისთვის დააკავეს, თუმცა, გამოძიების მიმდინარეობისას, მას ბრალი სხვა მუხლითაც წაუყენეს.

პროკურატურის ინფორმაციით, 4 წლის გოგონას ქსოვრელმა თავის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის სახით, რამაც მცირეწლოვანი გოგონას ტვინის მკვეთრი შეშუპება და სისხლჩაქცევა გამოიწვია, რის შემდეგაც ის გარდაიცვალა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2019 წლის 21 იანვრიდან 22 იანვრამდე ღამის პერიოდში, ლელა ქსოვრელმა თავის არასრულწლოვან შვილს თავის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის სახით. მიყენებულმა დაზიანებებმა გამოიწვია სისხლჩაქცევა და თავის ტვინის მკვეთრი შეშუპება, შედეგად 2019 წლის 22 იანვრის დილის საათებში ნინო ზალინაშვილი გარდაიცვალა.

გამოძიება ასევე დაწყებულია გარდაცვლილი გოგონას 5 წლის ძმის, ლ. ქ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებების თაობაზე.

აღნიშნული საქმე ცალკე წარმოებად არის გამოყოფილი ლელა ქსოვრელის ბრალდების საქმიდან.

გამოძიება ასევე მიმდინარეობს სოციალური მუშაკების მხრიდან შესაძლო სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტთან დაკავშირებით.

სამართალდამცავებმა ასევე დააკავეს, ნინო ზალინაშვილის მამინაცვალი, არკადი ძავაშვილი.

მას ბრალი საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით წარედგინა, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს არასრულწლოვნის მიმართ.

# დეპუტატ ენზელ მკოიანს ნარინე გინოსიანი სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს

ნინოწმინდის ბაღების გაერთიანების დირექტორი ნარინე გინოსიანი, რომელსაც გამოძიება საბიუჯეტო თანხების მითვისებასა და გაფლანგვას ედავება, საქართველოს პარლამენტის წევრს, დეპუტატ ენზელ მკოიანს სექსუალურ შევიწროებასა და ანგარიშსწორებაში ადანაშაულებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნარინე გინოსიანის ადვოკატმა მირიან ნიკოლაძემ განუცხადა, გინოსიანის მიმართ ბრალდება სასაცილოა და აღნიშნულში დეპუტატის ინტერესები იკვეთება.

— ჩვენ ამაზე არაერთხელ დავწერეთ განცხადება, ჩავაბარეთ გენერალურ პროკურატურასაც და საოლქო პროკურატურასაც. ვუთხარით, რომ არაერთგზის იყო ასეთი შემთხვევა, მკოიანი ნარინე გინოსიანის პირად ინტიმურ ურთიერთობაზე დაყოლიებას ცდილობდა და როდესაც ქალბატონმა უარი განაცხადა, დეპუტატი მკოიანი დაემუქრა ანგარიშსწორებით და მას შემდეგ დაიწყო ეს პრობლემები. ამიტომ მოვითხოვეთ რეაგირება, — განაცხადა ადვოკატმა.



ნარინე გინოსიანი და მისი ბუღალტერი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა პასუხისგებაში 19 ივლისს მისცა. დირექტორსა და ბუღალტერს ბრალი სსკ-ს 182-ე მუხლით ედებათ, რაც მითვისებასა და გაფლანგვას გულისხმობს.

ნარინე გინოსიანის ადვოკატის თქმით, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სავარაუდო დანაშაული 2017-2019 წლის პერიოდს უკავშირდება. მისივე თქმით, ბრალდება სასაცილოა. ამასთან, ადვოკატის განცხადებით, სამართლებრივი პროცესები უნდა დაიწყოს ნინოწმინდის საკრებულოს მისამართითაც.

დეპუტატი ენზელ მკოიანი ნარინე გინოსიანის ბრალდებებს პასუხობს.

— 19 ივლისს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ნინოწმინდის ბაღების გაერთიანების დირექტორი, ნარინე გინოსიანი და მისი ბუღალტერი ანჟელიკა ფუტულიანი პასუხისგებაში მისცა. ამ ქალბატონებს ბრალად სსკ-ს 182-ე მუხლი წარუდგინეს, რაც მითვისებასა და გაფლანგვას გულისხმობს. 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ, დღეს ნარინე გინოსიანი თავისუფალია, თუმცა 2 დღეა, მიზანმიმართულად ხდება იმ ბინძური კამპანიის მონაწილე, რომელიც ჩემს წინააღმდეგ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ნინოწმინდაში უკვე რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს, — აცხადებს დეპუტატი.

ის გინოსიანის ბრალდებას ამაზრზენს უწოდებს.

— არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები, ვიდეოკადრების სახით, იმის შესახებ, როგორ აძლევს ნარინე გინოსიანი უცხო პირებს მხოლოდ სამსახურებრივი ტრანსპორტის მოხმარებისთვის განკუთვნილი საწვავის ე.წ. ჩიპებს. ანუ, ეს ქალბატონი საბიუჯეტო სახსრებს იყენებს პირადი და მისი მეგობრების კერძო მოხმარებისათვის, რაც ასევე დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და ამის მტკიცებულება ბენზინგასამართი სადგურების ქსელის „რომპეტროლის“ ერთ-ერთ სათვალთვალო კამერას აქვს დაფიქსირებული, — ამბობს ემზელ მკოიანი.

# ბათუმში 4 ბავშვით ვაჭრობისთვის მათი დედა და დეიდა დააკავეს

ბათუმში 4 არასრულწლოვანით ვაჭრობის ფაქტზე პოლიციამ მათი დედა და დეიდა დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ არასრულწლოვანებით ვაჭრობის ფაქტზე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1997 წელს დაბადებული ა.პ. და 1984 წელს დაბადებული ქ.პ. დააკავეს.

დანაშაული 14-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები, ბოლო 1 წლის განმავლობაში, შვილებს და დისშვილებს, 6-დან 12 წლამდე ასაკის 4 არასრულწლოვანს იძულებით, ფსიქიკური ზეწოლისა და ფიზიკური ძალადობის გამოყენების გზით, სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ, მოქალაქეებისგან მოწყალების თხოვნას აიძულებდნენ, ხოლო მათ მიერ გამომუშავებულ თანხებს მთლიანად ითვისებდნენ.

სამართალდამცველებმა, გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი არაერთი მტკიცებულება მოიპოვეს.




ამ ეტაპზე, დაზარალებული არასრულწლოვანები სახელმწიფო ზრუნვის სერვისებში არიან განთავსებულნი და მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. პოლიციამ ოჯახის სხვა წევრების მიმართ შემაკავებელი ორდერები გამოსცა.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ არასრულწლოვანებით ვაჭრობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 143-ე სეკუნდა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“ — აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

# ზელენსკის პარტიამ უკრაინაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მოიგო



უკრაინაში 21 ივლისს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა.

პრეზიდენტ ზელენსკის პარტია „ხალხის მსახურმა“ დამაჯერებლად გაიმარჯვა. მან ხმების 43% დააგროვა.

პრორუსული ორიენტაციის „ოპოზიციურმა ბლოკმა სიცოცხლისათვის“ 11,5% მიიღო.

შემდეგ მოდიან: „ევროპული სოლიდარობა“ – 8%, „ბატკივშინა“ – 7,6 %, „გოლოსი“ – 6,3%.

პრეზიდენტი ზელენსკი თავისი პარტიის შედეგების შეფასებაში ფრიად მოკრძალებული იყო. მან ვალერი ლობანოვსკის სიტყვების ციტირება მოახდინა, როცა კიევის დინამომ თასების თასი მოიგო.

– ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ მომავალი უკეთესი შეიძლება იყოს, – თქვა ზელენსკიმ, – რასაკვირველია, 43% ჩინებულია, მაგრამ 74% სჯობდა.

შეკითხვაზე, თუ ვისთან შევა მისი პარტია კოალიციაში, პრეზიდენტმა უპასუხა:

– არც ერთ ძველ პარტიასთან კოალიციას არ შევქმნით!

ზელენსკიმ განაცხადა, რომ ახალი პრემიერი უკვე შერჩეული ჰყავს. ის არა პოლიტიკოსი, არამედ ეკონომისტია.

– მას არავითარი პოლიტიკური ბიოგრაფია არა აქვს! მისი ამოცანა ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაა, – თქვა ზელენსკიმ.

## სომალიში ტერაქტს 7 ადამიანი შეეწირა



სომალის დედაქალაქ მოგადიშუში განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად სულ მცირე 7 ადამიანი დაიღუპა და 27 დაშავდა.

აფეთქება საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად განხორციელდა. მასზე პასუხისმგებლობა ალ-ქაიდასთან დაკავშირებულმა ისლამისტურმა ჯგუფმა შაბააბმა აიღო.

დაშავებულები დედაქალაქის საავადმყოფოში არიან გადაყვანილები. მედიკოსების ინფორმაციით, 27 დაშავებულიდან 17-ის მდგომარეობა მძიმეა.

## აშშ ვენესუელას აგრესიულობაში სდებს ბრალს



კარიბის ზღვაზე ინციდენტი მოხდა. ვენესუელის სამხედრო თვითმფრინავი ამერიკულს სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა.

აშშ-ის არმიის სამხრეთის დაჯგუფების სარდალმა ადმირალმა ფოლერომ ვენესუელას ბრალი დასდო აგრესიულობაში.

– მათმა მოქმედებამ კინაღამ სამხედრო შეტაკების პროვოცირება გამოიწვია, – ამბობს ფოლერო.

ვენესუელის მთავრობა ვალში არ დარჩა. მან განაცხადა, რომ ეს ამერიკული თვითმფრინავი იქცეოდა აგრესიულად და შეტაკების პროვოცირებასაც ის ცდილობდა.

# არჩევნები იაპონიაში — მმართველმა ორი მესამედი ვერ მოიპოვა



იაპონიაში პარლამენტის ზედა პალატის არჩევნების შედეგები გამოქვეყნდა. მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული კოალიცია უმრავლესობას ინარჩუნებს, თუმცა მისი წარმომადგენლობა ოდნავ გაუარესდა.

მმართველ პარტიას ზედა პალატაში 141 დეპუტატი ეყოლება, ოპოზიციას – 104. იაპონიის ზედა, მრჩეველთა პალატა ნაწილობრივ განახლდა.

21 ივლისს 124 დეპუტატი აირჩიეს, აქედან 50 სიით და 74 მაჟორიტარული სისტემით. ლიბერალურ-დემოკრატიულმა კოალიციამ 71 ადგილი მიიღო, კონსტიტუციურ-დემოკრატიულმა პარტიამ – 53.

შესაბამისად, საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება ჯერჯერობით გადაიდო. კონსტიტუციის ჩასასწორებლად ზედა პალატაში მმართველ პარტიას ხმების ორი მესამედის მოპოვება სჭირდებოდა.

პრემიერ-მინისტრ სინძო აბეს მთავრობა მომხრეებთან ერთად ცდილობს კონსტიტუციაში თავდაცვის ძალების მოხსენიებას, რომ მათ არსებობას არავინ დაარქვას „ანტიკონსტიტუციური“.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## უცნობმა დაავადებამ მამაკაცს სახე გაუდიდა

ფილიპინების კუნძულ ლეიტეს მკვიდრმა ისაუბრა უცნობი დაავადების შესახებ, რომლის გამოც მას სახე სამჯერ გაუდიდდა. მისი ისტორია ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

56 წლის რომულო პილაპილს დაავადება დაახლოებით სამი წლის წინ გამოუვლინდა. მამაკაცმა საავადმყოფოს თვალების მიდამოებში ქავილისა და სურდოს ჩივილებით მიმართა. ექიმებმა ჩათვალეს, რომ მას სინუსიტი (ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება) ჰქონდა და მკურნალობის კურსი დაუნიშნეს. ორი კვირის შემდეგ მისი მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო სახეზე დასიება დაეწყო.

ადგილობრივმა ექიმებმა პილაპილისთვის დიაგნოზის დასმა ვერ შეძლეს და კონსულტაციისთვის ქვეყნის დედაქალაქ მანილაში გააგზავნეს. სამწუხაროდ, ოჯახის ბიუჯეტმა დედაქალაქში გამოკვლევაზე წასვლის საშუალება არ



მისცა. მალე მას იმდენად გაუსივდა ქუთუთოები, რომ ველარაფერს ხედავდა. ფილიპინელი იძულებული გახდა, სამუშაო მიეტოვებინა და მისმა შვილებმა პურის ფულის შოვნაზე ზრუნვა თავად დაიწყეს. ისინი მამის მოსავლელად რიგრიგობით რჩებოდნენ სახლში.

ბოლოს პილაპილმა ექიმს 2018 წელს მიმართა, როდესაც უფრო დიდ საავადმყოფოში მისვლა ურჩიეს. მას შემდეგ მამაკაცს სამედიცინო დახმარება აღარ მიუღია. მის ნათესავებს იმედი აქვთ, რომ როდესაც საზოგადოება მისი უჩვეულო დაავადების ამბავს გაიგებს, დამხმარეები გამოუჩნდებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „სამთავიანმა“ ბავშვმა ექიმები საგონებელში ჩააგდო

ინდოეთში ექიმები საგონებელში ჩააგდო „სამთავიანი“ ბავშვის დაბადებამ, რომელსაც უიშვიათესი დაავადება აქვს.

გოგონა 11 ივლისს უტარ-პრადეშის შტატში დაიბადა. ექიმებმა მას ენცეფალოცელე დაუდგინეს – თავის ქალისა და ტვინის ანომალიური განვითარება, რომლის დროსაც ტვინის ნივთიერების ნაწილი თავის ქალის გარეთ აღმოჩნდება. ძვლოვანი ქსოვილის ამ დეფექტის გამო ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მას კეფაზე კიდევ ორი თავი აქვს გამოზრდილი.



ექიმებმა აღნიშნეს, რომ ბავშვის დედის ფეხმძიმობა ყოველგვარი გართულების გარეშე მიმდინარეობდა. ამ მომენტისთვის ექიმები ცდილობენ გაარკვიონ, თუ რა გახდა ჩვილის ასეთი ანომალიის მიზეზი.

– ეს უიშვიათესი დაავადებაა, – განაცხადა მაკონტროლებელი ორგანიზაციის წარმომადგენელმა რაჯეშ ტხაკურმა, – ბავშვის სხეული ბოლომდე არ არის განვითარებული. გამოკვლევას ვატარებთ, შემდეგ კი ოპერაციას გავუკეთებთ და „თავებს“ მოვაშორებთ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან გათავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# გიორგი ჭიაბრიშვილი: „საბურთალო შემტევ ფეხბურთს ითამაშებს“

საფეხბურთო კლუბი საბურთალო ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა ტირასპოლის შერიფის ბარიერი გადალახა. 2-მატჩიანი დაპირისპირება ქართულმა კლუბმა საერთო ჯამში 4:3 მოიგო.

საბურთალოს მომდევო მეტოქე ზაგრების დინამოა. კლუბის მიერ ჩატარებულ მატჩებსა და სამომავლო გეგმებზე გიორგი ჭიაბრიშვილი საუბრობს.

***– გასვლაზე 0:3 მოგებული თამაშის შემდეგ მოულოდნელი იყო საკუთარ მოედანზე საწყის 11 წუთში გაშვებული 3 გოლი. რა მოხდა მატჩის დებიუტში?***

– წარუმატებელი სტარტი გვქონდა. მე-2 წუთზე მივიღეთ პირველი გოლი და ამან პანიკური სიტუაცია შექმნა. ყველანაირი გეგმა და დავალება რაც თამაშამდე გვქონდა, მე-2 რიგში გადავიდა. ქვეცნობიერში წავიდა ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეგვენარჩუნებინა ანგარიში. ამ ყველაფერს მოჰყვა მე-2 და მე-3 გოლი.

ჩემმა ფეხბურთელებმა ამ სიტუაციის გაანალიზება და გონზე მოსვლა მოახერხებს. მსგავსი მოცემულობის შემოტრიალება არა მხოლოდ ქართულ კლუბებს, არამედ ძალიან დიდ გუნდებს უჭირთ. ალბათ აქვს ახსნა, თუ რატომ განვითარდა ასე მოვლენები. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ გუნდმა 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ ჩათვალა, რომ საქმის 90 პროცენტი გაკეთებული იყო. ასეთ დროს ყოველთვის ისჯები. ახალგაზრდა ფეხბურთელებთან გვაქვს საქმე და ვიმედოვნებ, რომ ეს გამოცდილება სამომავლოდ გამოგვადგება. გუნდს ჯერ მაინც უჭირს იმის გათვითცნობიერება, თუ სად ვთამაშობთ და რამხელა რაღაცა დგას კონკრეტული მატჩების უკან.

***– შეძელით თუ არა გაშვებული გოლების შემდეგ ფეხბურთელებისთვის მითითებების მიცემა?***

– შესვენებამდე ვერაფერი ვერ მოვახერხე და ეს იყო ძალიან რთული ჩემთვის. გულშემატკივრების სიმრავლის გამო, რომელსაც არ ვართ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში მიჩვეული, გამიჭირდა ჩემი სათქმელის ფეხბურთელებამდე მიტანა. რომც მქონოდა საშუალება, ალბათ მაინც ვერ გაიგებდნენ მიღებული შოკის გამო.



***– შესვენებაზე რა მოხდა?***

– შესვენებაზე დიდი ტაქტიკური ცვლილებები არ გამიკეთებია. მათ უბრალოდ ვკითხე: რა ხდება, რას ვთამაშობთ და რატომ არ არის ეს ჩვენი თამაში? ვუთხარი, რომ ვითამაშოთ ის ფეხბურთი, რასაც ზოგადად ვთამაშობთ და დასრულდეს დაპირისპირება ისე, როგორც დასრულდება. ამის შემდეგ დაილაპარაკეს, დალაგდნენ და თავადაც ნახეთ, რომ მეორე ნახევარში სულ სხვა გუნდი იყო მოედანზე. ზოგადად მეგონა, რომ პირველ შეხვედრაში ასეთი დამაჯერებელი თამაშის შემდეგ მე-2 მატჩში არ ექნებოდათ ისეთი სიფრთხილე, როგორსაც ადგილი ჰქონდა პირველ წუთებში.

***– დამაჯერებლად მოგებული გასვლითი მატჩის შემდეგაც კი თქვენ მოერიდეთ ხმამაღალ განცხადებებს. მაშინ გქონდათ სწორედ ის მოლოდინი, რაც მიხეილ მესხის სახელობის არენაზე მოხდა?***

– გულწრფელად ვფიქრობდი, რომ შერიფი არ იყო ის გუნდი, რომელსაც საბურთალო მარტივად მოუგებდა. პირველ შეხვედრაში მოლდოველების მხრიდან მეტოქის შეუფასებლობა მოხდა, რომელიც ჩვენ კარგად გამოვიყენეთ. მაშინაც ვიძახდი და ბოლომდე დავრჩი ჩემს აზრზე, რომ თბილისში სულ სხვა გუნდის წინააღმდეგ მოგვიწევდა თამაში და გაცილებით რთული იქნებოდა.

***– გულშემატკივრების ფაქტორი რამდენად დიდი იყო შერიფთან მატჩში?***

– ორმაგი სტიმული იყო ჩვენი ფეხბურთელებისთვის. ვერაფერს მოვახერხებდი შესვენებაზე და გუნდი ვერ შეძლებდა საჭირო განწყობის შექმნას, რომ არა ამდენი ადამიანის გულწრფელი ტაში და მხარდაჭერა. უბრალოდ გული მწყდება ერთ რამეზე, რომ თბილისში ვერ ვანახეთ გულშემატკივარს ის თამაში, როგორიც ტირასპოლში. ეს რომ გამოგვსლოდა და დარწმუნებული ვარ, უფრო გახარებულები და ნასიამოვნები წავიდოდნენ სტადიონიდან.

***– რა იქნება ზაგრების დინამოსთან?***

– დინამო ბევრად ძლიერი მეტოქეა, ვიდრე შერიფი. მათ აქვთ ფინანსური რესურსი და ზოგადად ხორვატებს რომ ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელები ჰყავთ, ამას მუდმივად ამტკიცებენ. კარგად მოვემზადებით მომავალი თამაშებისთვის. ვეცდებით, ის ლაფსუსები, რაც გვქონდა, გამოვასწოროთ.

დრო არ გვაქვს ბევრი, მაგრამ გავმეორდები, რომ ჩემი ფეხბურთელები ამ დონეზე თამაშისთვის მზად არიან. კარგია, რომ დინამოს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე არ ეყოლება, სასიხარულოა, რომ ოლმო თბილისურ მატჩში არ იქნება, თუმცა ამ გუნდს ძირითადად ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ჰყავს. საბურთალოს სტილი არ შეუცვლია. ამიტომ შემტევ ფეხბურთზე უარს არ ვიტყვით. ვნახოთ, რამდენად მოგვცემს მეტოქე ამის საშუალებას.

***– ხორვატიაში ახლახან განახლდა ჩემპიონატი და შესაძლოა ფეხბურთელები არ იყვნენ სათანადო ტონუსში და ამას ემატება მატჩი გულშემატკივრების გარეშე ზაგრებში. ეს ფაქტორები რამდენად შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ორრაუნდიან დაპირისპირებაში?***

– ეს 2 ფაქტორი აუცილებლად გადამწყვეტი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მინდორზე გუნდების თანაფარდობა მეტ-ნაკლებად ერთი დონის იქნება. სანამ უშუალოდ არ ვნახავთ, რა მოცემულობა იქნება მოედანზე, ამაზე საუბარი რთულია. თუ ამ ბარიერის გადალახვის შანსი მოგვეცემა, რა თქმა უნდა, ზემოხსენებული დეტალები იქნება უმნიშვნელოვანესია.

***– გაქვთ თუ არა შემონახული კოზირები, რომელიც ამ დრომდე არ დაანახეთ დინამოს წარმომადგენლებს?***

– შერიფთან დაპირისპირებაში ვეცადეთ, რომ არ გამოგვეყენებინა ერთი შეტევითი კომპონენტი. ასე რომ, გვაქვს გარკვეული რეზერვი ამ მიმართულებით.

# არარატი და ფეიენოორდი — ძველი ნაცნობები თბილისში

შვეიცარიის ქალაქ ნიონში ჩემპიონთა ლიგის მერე, ევროპა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრაც გაიმართა.




საბურთალო-დინამო ზაგრების წყვილში მოგებული შემდეგ ეტაპზე უნგრულ ფერენცვაროშსა და მალტურ ვალეტას შორის გამარჯვებულს შეხვდება. ხოლო დამარცხებული ევროპის ლიგაზე გადაინაცვლებს, სადაც მეტოქედ სომხეთის არარატ-არმენიასა და გიბრალტარის ლინკოლნს შორის გამარჯვებული ეყოლება.

დიდი ალბათობით, საბურთალოს არარატი შეხვდება.

ევროპის ლიგაზე თბილისის დინამოსა და აზერბაიჯანულ გაბალას შორის გამარჯვებული როტერდამის ფეიენოორდს შეხვდება. ფეიენოორდი ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი იყო სავარაუდოებს შორის.

მატჩები 8 და 15 აგვისტოს გაიმართება. ჯერ როტერდამში, მერე – თბილისში.

ამ დროს როგორ არ გაგახსენდება 1981 წლის თასების თასის ნახევარფინალი. თბილისის დინამომ შინ 3:0 მოუგო როტერდამელებს, სტუმრად კი 0:2 წააგო, თუმცა მაინც გავიდა ფინალში და თასიც ასწია.

საჩხერის ჩიხურასა და შოტლანდიურ აბერდინს შორის გასული შეხვდება ხორვატიულ რიეკას.

ეს გუნდი საკუთარ ჩემპიონატში მე-2 ადგილზე გავიდა და თასიც აიღო. ჩემპიონატში 25 ქულით ჩამორჩა იმ ზაგრების დინამოს, რომელიც დღეს საბურთალოს ჩემპიონთა ლიგაზე ხვდება. რიეკამ 2017 წელს ფურორი მოახდინა, როცა ზაგრებელთა ჰეგემონია შეწყვიტა და ჩემპიონი გახდა. თუმცა ბოლო წლებში ხორვატიის გამოკვეთილად მე-2 კლუბია.

მატჩები აქაც 8 და 15 აგვისტოს გაიმართება.

# 20 წლამდე ნაკრების ცუდი დასასრული



საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ასპარეზობა მე-8 ადგილზე დაასრულა. მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილმა გუნდმა ტურნირის დასკვნითი, მე-7 ადგილისთვის მატჩი ისლანდიასთან დაძაბულ ბრძოლაში – 90:94 დათმო.

შეხვედრის პირველი პერიოდის შემდეგ ქართველები 22:20 იგებდნენ. თუმცა მე-2 მეოთხედში ისლანდიელებმა ტემპს და მიზანს უმატეს და 28:21 მოგებული ათწუთეულის შემდეგ დიდ შესვენებაზე 5-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. ვითარება არ შეცვლილა არც მე-3 მეოთხედში, რომელიც ჩრდილოელებმა 23:21 მოიგეს და დასკვნითი პერიოდის წინ 7-ქულიანი ლიდერობა დაიბევეს.

ქართველები ბოლო პერიოდში ბევრს ეცადნენ, მაგრამ ველარ მოახერხეს ისლანდიელთა ძლევა. შეხვედრის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ჩვენებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს, თუმცა ისლანდიამ მაინც მოახერხა და საფინალო სირენამდე ლიდერად მივიდა. საქართველოს ნაკრებში 21 ქულითა და 7 მოხსნით საუკეთესო იყო ნიკა მეცხვარიშვილი. 21 ქულა დააგროვა ლუკა მაზიაშვილმაც. 18 ქულით დაასრულა შეხვედრა რატი ანდრონიკაშვილმა.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ამით დაასრულა პორტუგალიაში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი და მომავალ წელსაც ბ დივიზიონში იასპარეზებს. ელიტაში თამაშის უფლება წლევანდელი ბ დივიზიონიდან პორტუგალიამ, ჩეხეთმა და ბელგიამ მოიპოვეს, რომლებმაც ამ თანმიმდევრობით დაიკავეს დასრულებულ ტურნირში ადგილები.

# ზაგრების დინამო თბილისში დანაკლისით ჩამოვიდა

თბილისის საბურთალო ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოლდოვური შერიფის ბარიერის დაძლევის შემდეგ ზაგრების დინამოს დაუპირისპირდება. ხორვატიული გუნდი საბურთალოზე ბევრად ძლიერი კლუბია, სერიოზული ფინანსებით, ნიჭიერი ფეხბურთელებითა და გამოცდილებით.



დინამო 2007-08 წლების სეზონიდან რეგულარულად ასპარეზობს ჩემპიონთა ლიგისა და ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. ერთადერთი სეზონი, როდესაც დინამომ ჯგუფურ ეტაპამდე ვერ მიაღწია, 2017-18 წლების სეზონი იყო.

გასულ სეზონში ხორვატებმა ევროპა ლიგის მერვედფინალში ითამაშეს, სადაც ბენფიკასთან დამატებით დროში დამარცხდნენ.

ხორვატიულ კლუბში 30 ფეხბურთელი ირიცხება, მათ შორის ნახევარი უცხოელი ლეგიონერია. დინამოს მთავარი ვარსკვლავის, დანი ოლმოს ღირებულება (15 მილიონი) საბურთალოს ყველა ფეხბურთელის საერთო ფასზე თითქმის 3-ჯერ მეტია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მეტოქის სიძლიერეს. ახალგაზრდა ესპანელი მისი ქვეყნის 21-წლამდელთა გუნდის წევრი და ლიდერია, გასულ თვეში ევროპის ჩემპიონი გახდა, სადაც მან 4 შეხვედრა ჩაატარა, 3 გოლით და 1 საგოლე პასით გამოირჩა. ის ბარსელონას აღზრდილია და ხორვატიულ კლუბს 16 წლის ასაკში შეუერთდა. მისით არაერთი ევროპული გრანდი ინტერესდება.

დაცვის ლიდერი კევინ თეოფილ-კატერინია, რომელსაც კარიერის უდიდესი ნაწილი საფრანგეთის ლიგა 1-ში აქვს გატარებული. მან ელიტარულ დივიზიონში 205 შეხვედრა გამართა. 2013-14 წლების სეზონში კი კარდიფთან ერთად ინგლისის პრემიერლიგაში ითამაშა და 28 მატჩი ჩაატარა.

გუნდების შედარებისთვის კიდევ ერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემი გამოდგება – დინამოს 10 ფეხბურთელი საკუთარი ეროვნული ნაკრების, 7 კი სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრია, მაშინ, როდესაც საქართველოს ნაკრებში ბოლო პერიოდში საბურთალოს მხოლოდ 1 ფეხბურთელი იყო გამოძახებული.

გასულ სეზონში დინამოს 2 საუკეთესო ბომბარდირი ჰყავდა – ბრუნო პეტკოვიჩი და მარიო გავრანოვიჩი. მათ 9-9 გოლი გაიტანეს. მესამე ადგილი კი ზემოთ ნახსენებმა დანი ოლმომ დაიკავა 8 გატანილი გოლით, რასაც 3 საგოლე პასიც დაუმატა. კარგი სეზონი ჰქონდა დამიან კაძიორსაც, რომელმაც 6 გოლი და 11 საგოლე გადაცემა შეასრულა.

დინამოს მთავარი მწვრთნელი 49 წლის ხორვატი სპეციალისტი ნენად ბიელიცაა, რომელიც გუნდს 2018 წლის მაისიდან ავარჯიშებს. მისი ხელმძღვანელობით, დინამომ 59 შეხვედრიდან 44 მოიგო, 9 ფრედ დაასრულა და 6 მარცხი იწვნია. ბიელიცას სხვადასხვა დროს ავსტრიულ კლუბებში, მათ შორის, ვენის აუსტრიაში, იტალიურ სპეციასა და პოლონურ ლეხში უმუშავია.

ხორვატიაში შიდა ჩემპიონატი განახლდა, თბილისელთა მომავალმა მეტოქემ კი თანაქალაქელი ლოკომოტივა 3:0 დაამარცხა.

ამ შეხვედრის შემდეგ დინამოს მთავარმა მწვრთნელმა საბურთალოსთან გასამართი მატჩის შესახებაც ისაუბრა და ის ფეხბურთელები ჩამოთვალა, ვინც კლუბთან ერთად საქართველოში არ გამოემგზავრა.

ჩვენდა გასახარად მათ შორისაა 21 წლის ოლმო. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ახალგაზრდა ნახევარმცველის სამსახურით ბარსელონა, ტოტენჰემი, ლივერპული და ბაიერნი არიან დაინტერესებულები.

მის გარდა თბილისს ვერ ეწვევა გუნდის რამდენიმე ლიდერი...

**ნემანია ბიელიცა:**

– დანი ოლმო, ფრანსის მუბანჯი, კევინ თეოფილ-კატერინი, ემირ დილავერი, კომნენ ანდრიჩი, სადეგ მოჰარამი და დანიელ ზაგორაჩი თბილისში ჩვენთან ერთად დანამდვილებით არ იქნებიან. შერიფთან ჩატარებული მატჩები გავაანალიზეთ. თუმცა, საბურთალოზე გაცილებით მეტი ინფორმაცია გვაქვს, რომელიც შერიფის მწვრთნელმა ზორან ზეკიჩმა (ხორვატი სპეციალისტი) მოგვაწოდა. რა თქმა უნდა, ამას გამოვიყენებთ.

ჩვენი მეტოქე ძალიან სწრაფია, კარგი ფლანგელებით და მცველებით. საბურთალო ახალგაზრდა და მძლავრი გუნდია. ჩერნოგორიელი კარგი ფორვარდი როლოვიჩი ჰყავთ. ჩვენი საუკეთესო თამაში უნდა ვაჩვენოთ და მჯერა, გავიმარჯვებთ.

რაც შეეხება მუბანჯისა და ოლმოს, ისინი საპასუხო შეხვედრაში ჩვენთან ერთად იქნებიან.

ამ წყვილის გამარჯვებული უნგრულ ფერენცვაროშსა და მალტის ვალეტას შორის გამარჯვებულს შეხვდება.

# შედეგები

## 21 ივლისი

**ფეხბურთი**

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ურალი-ახმატი | 3:0 |
| ლოკომოტივი-ტამბოვი | 2:1 |
| დინამო-რუბინი | 0:1 |
| **რუბინის გოლი ბექა მიქელთაძემ გაიტანა** | |
| სოჭი-ზენიტი | 0:2 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ციურიხი-ლუგანო | 0:4 |
| იანგ ბოიზი-სერვეტი | 1:1 |

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი 1905-ბოლესლავი | 3:0 |
| ტეპლიცე-სლავია | 1:5 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| ზაგლებიე-კრაკოვია | 1:1 |
| ლეგია-პოგონი | 1:2 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სილკებორგი-ჰორსენსი | 0:3 |
| ოლბორგი-სონდერიისკე | 1:1 |
| ესბიერგი-ჰობრო | 1:1 |
| რანდერსი-ბრონდბიუ | 2:2 |
| მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 2:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-ესკილკსტუნა | 1:0 |
| მალმიო-სირიუსი | 1:1 |
| ნორჩიოპინგი-ესტერსტუნდი | 3:0 |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| ბრანი-სტაბეკი | 2:1 |
| მიოლდე-სარპსბორგი | 2:1 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ინტერი-ჰონკა | 3:1 |
| კუუპიო-მარიეჰამნი | 0:0 |
| ჰიფკი-როვანიემი | 1:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა



**ევკალიპტი** – სამედიცინო მიზნით იხმარება სხვადასხვა სახეობის ევკალიპტის ფოთოლი. მცენარე შემოტანილია ავსტრალიიდან. გავრცელებულია საქართველოს შავი ზღვისპირეთში. ფოთოლი არის მთელკიდიანი, ერთმანეთისგან განსხვავდება ფორმით და ზომით. მის ზედაპირზე ჩანს ზანგელა



ლაქები – ეთერ ზეთების საცავები. სუნი სასიამოვნოა, გემო – მომწარო. ფოთოლი შეიცავს ეთერ-ზეთებს და პოლიფენოლებს, რომლებსაც ანტიბაქტერიული მოქმედება ახასიათებს. ათიაქებში იყიდება გამხმარი ფოთოლი. იგი გამოიყენება ყელის და ხახის ანთებითი პროცესისათვის, ინჰალაციისათვის, ჩირქოვანი ჭრილობების მოსაბანად.

*ნაყენის მომზადება:* 1 სუფრის კოვზ დანამცეცებული ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა წყალი და ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში. ინჰალაციისათვის შეიძლება გამოიყენოთ ევკალიპტის ზეთიც. 30 წვეთს დაასხით 1ჭიქა მდუღარე წყალი და შეისუნთქეთ.

ევკალიპტის ფოთოლი სამკურნალოდ ვარგისია, თუ იგი ერთხელ მაინც ნაზამთრევია.

*თირკმლის ჩაი* – ტროპიკული მრავალწლოვანი მცენარეა, რომელსაც ჩვენში პლანტაციებზე აშენებენ. მისი გამხმარი ფოთოლი გამოიყენება როგორც შარდმდენი საშუალება თირკმლისა და საშარდე გზების დაავადებების დროს.

1 სუფრის კოვზ გამხმარ ფოთოლს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ 15 წუთი, გაცივების შემდეგ მიიღეთ ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე. ერთი ჭიქა ნაყენი 2-3 მიღების ნორმაა. ნაყენი ერთ თვემდე უნდა სვათ.

***

**მოცვი** – ველურად მოზარდი 15-40 სმ სიმაღლის ბუჩქია. გვხვდება ტყეში, ზოგჯერ დიდი მასივების სახით. აქვს გლუვი ღეროები. მოკლეყუნწიანი, თხელი და პრიალა ზედაპირიანი ფოთლები, რომლებიც მორიგეობითაა განლაგებული. მცენარეს შეიძლება ჰქონდეს მოვარდისფრო ყვავილები და შავ-ლურჯი ნაყოფები. მცენარე ყვავილობს მაისში, ნაყოფს იძლევა სექტემბერში.



ნაყოფი წვრილი, მაგრამ წვნიანია. მოკრეფისას საჭიროა სიფრთხილე, რომ არ დაიჭყლიტოს და არ აიზილოს ერთმანეთში.

მოცვის ნაყოფი შეიცავს მთრთილავ (შემკვრელ) ნივთიერებებს, შაქრებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს. ის ნაზი, შემკვრელი და დიეტური საშუალებაა, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის მწვავე და ქრონიკული აშლილობის დროს. ნაყოფი საჭიროების დროს მოხარშეთ. განსაკუთრებით ეფექტურია ბავშვებში.

სამკურნალო დანიშნულება აქვს მოცვის ფოთოლსაც, რომელიც რეკომენდებულია შაქრიანი დიაბეტისას, რადგან ახასიათებს ინსულინის მსგავსი მოქმედება.



# საქართველოს ნაკრების მეტოქეები გარკვეულია



ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქეები ცნობილია. ჩვენი ნაკრები მოხვდა ე ჯგუფში, სადაც მეტოქეებად სერბეთი და ფინეთი გვეყოლება, ხოლო მესამე მეტოქე შვეიცარია იქნება, ისლანდია თუ პორტუგალია, 21 აგვისტოს გავიგებთ, როცა ევრობასკეტ 2021-ის წინასაკვალიფიკაციო ტურნირი დასრულდება.

ევრობასკეტ 2021-ის მთავარი საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩები გაიმართება ფიბა-ს მიერ დადგენილ 3 ფანჯრის პერიოდში: 2020 წლის 17-25 თებერვალს, 23 ნოემბერი-1 დეკემბერი და 2021 წლის 15-23 თებერვალს. თითო ფანჯრის პერიოდში თითო გუნდი 2-2 მატჩს ჩაატარებს. თამაშები გაიმართება გასვლა-სახლის პრინციპით.

აღსანიშნავია, რომ როგორც ევრობასკეტ 2021-ის ერთ-ერთი მასპინძელი, საქართველო საკვალიფიკაციო ტურნირში საკონკურსო პირობების გარეშე იასპარეზებს. ანუ ე ჯგუფიდან ევროპის ჩემპიონატზე გავა საქართველო (რომელი ადგილიც არ უნდა დაიკავოს) და ჯგუფის დანარჩენი 2 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი. ანალოგიურად, ჯგუფებიდან გასულები არიან, მაგრამ საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩებს მაინც გამართავენ ევრობასკეტ 2021-ის დანარჩენი მასპინძელი ქვეყნების ნაკრებები – გერმანია, ჩეხეთი და იტალია.

ევრობასკეტის მასპინძელთა საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობის გადაწყვეტილება ფიბა-მ იმისთვის მიიღო, რომ საქართველოს, იტალიას, გერმანიასა და ჩეხეთს მომავალი 2 წლის განმავლობაში სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდეთ და აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი კონტინენტზე გამართულ მატჩებსა და მის თანმხლებ სხვადასხვა აქტივობებში.

გათამაშების ფორმატის თანახმად, ევრობასკეტის 24 საგზურს თითოეული (8) ჯგუფის 3 საუკეთესო გუნდი მოიპოვებს. აღსანიშნავია, რომ ევრობასკეტ 2021-ის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრის ერთ-ერთი მონაწილე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ვლადიმერ ბოისა გახლდათ.

**ევრობასკეტის შესარჩევი ეტაპის ყველა ჯგუფი**

**ა ჯგუფი:** (სლოვაკეთი/კვიპროსი/რუმინეთი), პოლონეთი, ისრაელი, ესპანეთი;
**ბ ჯგუფი:** იტალია, ჩრდ. მაკედონია, ესტონეთი, რუსეთი;
**ც ჯგუფი:** ჩეხეთი, ბელგია, ლიეტუანია, (ალბანეთი/ბელარუსი/დანია);
**დ ჯგუფი:** ხორვატია, თურქეთი, ჰოლანდია, შვედეთი;
**ე ჯგუფი:** ფინეთი, საქართველო, (შვეიცარია/პორტუგალია/ისლანდია), სერბეთი;
**ფ ჯგუფი:** ავსტრია, უნგრეთი, სლოვენია, უკრაინა;
**ჯ ჯგუფი:** გერმანია, მონტენეგრო, (ლუქსემბურგი/კოსოვო/დიდი ბრიტანეთი), საფრანგეთი;
**ჰ ჯგუფი:** საბერძნეთი, ლატვია, ბოსნია, ბულგარეთი.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ონლაინმაღაზიამ გოგონას სისხლიანი კაბა გაუგზავნა(ინგლის)



ბრიტანულმა ონლაინმაღაზია PrettyLittleThing-მა კლიენტ გოგონას სისხლის ლაქებიანი კაბა გაუგზავნა და ფულისა და ნივთის დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

დასვრილი კაბის დანახვაზე გოგონა, სახელად შევონი, მაშინვე დაუკავშირდა კომპანია WhatsApp-ს. მან თავის შეტყობინებას ცისფერ კაბაზე არსებული ლაქების რამდენიმე ფოტოსურათი დაურთო და აღნიშნა, რომ ის მისი სისხლი ნამდვილად არ არის. მყიდველმა ასევე აღნიშნა, რომ მეორე დღესვე აპირებდა ფოსტაში მისვლასა და კაბის უკანვე გაგზავნას.

თუმცა PrettyLittleThing-ს წარმომადგენლის პასუხმა შევონი გააოგნა.

– სრულიად გეთანხმებით, რომ ეს აღმაშფოთებელია და ბოდიშს გიხდით, მაგრამ, გთხოვთ, კაბას ნუ დაგვიბრუნებთ. მოგვწერეთ შენაძენის სახელწოდება და ვნახავთ, თქვენთვის რისი გაკეთება შეგვიძლია, – ნათქვამია გოგონასთვის გაგზავნილ შეტყობინებაში.

ასეთი რეაქციით გაბრაზებულმა გოგონამ მიმოწერა ტვიტერში გამოაქვეყნა და მასში ფირმის ოფიციალური გვერდიც მიუთითა.

– მათ უნდა რცხვენოდეთ, რომ ეს სისხლიანი კაბა სხვა ვიღაცისგან მიიღეს, – დაწერა შევონმა და დაამატა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მას კიდევ ერთი ასეთი კაბის მიტანას შეჰპირდნენ.

PrettyLittleThing-ში მომხდარზე რაიმე სახის კომენტარი არ გაუკეთებიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





# კულინარიული კუთხე

## შილაფლავი

**მასალა:** ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი; დუმა – 100 გრამი; ბრინჯი – 2 ჩაის ჭიქა; დაფნის ფოთოლი; მარილი; შავი პილპილი; ძირა გემოვნებით.

**მომზადება:** ავიღოთ ცხვრის მსუქანი ხორცი, კარგად გავრეცხოთ და დავჭრათ ნაჭრებად. წვრილად დავჭრათ დუმის ნაჭერი, ჩავყაროთ ქვაბში და ვშუშოთ, სანამ ცხიმი არ გამოუვა. შემდეგ ჩავყაროთ დაჭრილი ხორცი და ხახვთან ერთად გავაგრძელოთ შუშვა, ისე, რომ ხორცი და ხახვი არ გაწითლდეს (შილაფლავი თეთრი რომ გამოვიდეს). დავასხათ წყალი; ადუღებისას მოვხადოთ ქაფი, ჩავაგდოთ დაფნის ფოთოლი, მარილი. როდესაც ხორცი ნახევრად მოხარშული იქნება, ჩავყაროთ ბრინჯი და გავაგრძელოთ ხარშვა. შემდეგ შევაზავოთ შავი პილპილითა და ძირათი.

თუ შილაფლავი სქელი გამოვიდა, შეიძლება დავასხათ რაიმე ბულიონი (ხაშლამის ნახარში), ან წყალი და დავიყვანოთ ნორმალურ სისქემდე.

❖ ❖ ❖

## ერბო-კვერცხი მწვანე ლობიოთი

**მასალად საჭიროა:** მწვანე ლობიო – 300 გრამი; კვერცხი – 6 ცალი; ერბო – 2 სუფრის კოვზი; მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** გასუფთავებული, ახალი მწვანე ლობიო დავტეხოთ, მოვხარშოთ მარილწყალში, გადავიღოთ საწურზე, მერე დავყაროთ ერბომოსხმულ ტაფაზე, მოვშუშოთ, დავასხათ ზედ გათქვეფილი კვერცხი და შევწვათ.

❖ ❖ ❖

## ერბო-კვერცხი კომბოსტოთი

**მასალად საჭიროა:** კომბოსტო – 200 გრამი; კვერცხი – 3 ცალი; ერბო ან ზეთი – 2 სუფრის კოვზი; ხახვი – 1-2 თავი; არაჟანი, მწვანილი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კომბოსტო, ხახვი, ქინძი, კამა, ოხრახუში დავჭრათ ძალიან წვრილად, მოვაყაროთ მარილი, კარგად ავურიოთ და მოვათავსოთ ცხიმიან ტაფაზე; დავახუროთ თავსახური და ნელ ცეცხლზე კარგად მოვშუშოთ. შემდეგ მოვასხათ ათქვეფილი კვერცხი; კვლავ დავახუროთ თავსახური და გავაჩეროთ ცეცხლზე, ვიდრე კვერცხი შეიწვება. გადმოდგმის დროს ზემოდან მოვაყაროთ შავი პილპილი და სუფრაზე მიტანის წინ შეიძლება მოვასხათ არაჟანი.

❖ ❖ ❖

## მოხარშული კარტოფილი ზეთითა და მწვანილით

კარტოფილი მოვხარშოთ (წყალში ან ორთქლზე) ზემოაღნიშნული წესით. როცა წყალს გადავღვრით და კარტოფილი შეშრება, დავუმატოთ მცენარეული ზეთი, დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი ან კამა, ავურიოთ ქვაბის შენჯღრევით და გადავიტანოთ შესაფერის ჭურჭელზე.

❖ ❖ ❖

## ბისკვიტის ხვეულა მარმელადით

**მასალა 1 ულუფაზე:** კვერცხი – 1 ცალი; ფქვილი – 20 გრამი; შაქარი – 35 გრამი; ვაშლის მზა მარმელადი – 20 გრამი.

**მომზადების წესი:** ბისკვიტის ხვეულას მოსამზადებლად ქვაბში ჩავუშვათ შაქრის ფხვნილი, ჩავუმატოთ კვერცხის გული, კარგად ავთქვიფოთ. როდესაც გათეთრდება და გასქელდება, მასში თანდათან შევურიოთ ფქვილი, შენახული კვერცხის ცილა გავთქვიფოთ, როდესაც აქაფდება და გასქელდება, თანდათან შევურიოთ ფქვილიან გოგლიმოგლში. ამგვარად შეზავებული ბისკვიტის ცომი დავასხათ კარაქწასმულ და ფქვილმოყრილ თუნუქის ფურცელზე, გავათხელოთ მთელი მასა 8 მილიმეტრის სისქეზე თანასწორად და შევდგათ აირღუმელში. როდესაც გამოცხვება, გადმოვიღოთ და გავშალოთ ხის მაგიდაზე. თბილ ბისკვიტს წავუსვათ მთელ ფართზე მზა ვაშლის მარმელადი ან ვაშლის ტკბილი პიურე, შემდეგ დავახვიოთ მრგვალად. როდესაც შეგრილდება, ზემოდან წავუსვათ მოხარშული და გათქვეფილი შაქრის „პომადა“ ან მოვაყაროთ შაქრის პუდრი.

# ასტროპროგნოზი

## 23 ივლისისთვის



**ვერძი** – კარგი დღეა საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისათვის. წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ გარშემომყოფების აზრს გაითვალისწინებთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **კურო** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. მოსალოდნელია კამათი გარშემომყოფებთან. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **ტყუპები** – თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, ნუ გადაიღლებით. **კირჩხიბი** – ფინანსებს გაუფრთხილდით, ფულს იოლად ნუ დახარჯავთ, საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს, უმჯობესია, სახლში დარჩეთ. **ლომი** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ გარშემომყოფების აზრს გაითვალისწინებთ. შესაძლოა, დღეს საკმაოდ ძლიერი მფარველი გამოგიჩნდეთ. **ქალწული** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, ჯანმრთელობაც ხელს გიწყობთ. მშვენიერი დღე გაქვთ წინ. **სასწორი** – შესანიშნავი პერიოდია სამოგზაუროდ წასასვლელად, ახალი იდეების განსახორციელებლად. ასევე წარმატებით დაგვირგვინდება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები. **ღრიანკალი** – მძიმე დღეა, მიზნის მისაღწევად მუხლჩაუხრელი შრომა გჭირდებათ. ნუ მოდუნდებით, წვრილმანებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. **მშვილდოსანი** – საკმაოდ ენერგიულად ხართ, შრომა არ გეზარებათ, რაც თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე შესაბამისად აისახება. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **თხის რქა** – გეგმების განხორციელება, ალბათ, გაგიჭირდებათ, პარტნიორებთანაც კონფლიქტია მოსალოდნელი. შექმნილი ვითარებიდან თავის დასაღწევად საკმაოდ დიდი ძალისხმევა და წინდახედულობა დაგჭირდებათ. **მერწყული** – მიხედეთ პირად ცხოვრებას, შეხვდით საყვარელ ადამიანს, მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. **თევზები** – მთელი ძალების კონცენტრაცია მოახდინეთ, რათა დასახულ მიზანს მიაღწიოთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღის საზეიმო აღნიშვნა; 2. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე აგური; 3. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 5. გერმანული ავტომობილი; 6. დარიშხანის საბადო ამბროლაურის რაიონში; 8. ქართული ლუდი; 11. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 13. ქართული ტელეკომპანია; 14. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 15. ხურდა ფული სირიაში, იორდანიასა და ლიბანში; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

**თარაზულად:** 1. ქართველი მილიარდერი, მეცენატი, ქველმოქმედი; 4. წმინდა ოქრო; 7. ერთ-ერთი რელიგია; 9. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 10. დადგენილი წილი, ნორმა; 12. ლითონის კორპუსიანი ბარომეტრი; 16. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 17. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. მოდუღებული ტყემლის მჟავე, სქელი წვენი; 20. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 21. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 22. მწვერვალი კავკასიონზე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. მონოციტი; 7. გლისადა; 8. რანგი; 9. ანონსი; 10. ჩქამი; 13. ბროლი; 15. ეგზეგეტიკა; 18. ნიქსები; 20. რემა; 21. ლახანა; 23. რობესპიერი; 24. მიკოზი.

**შვეულად:** 1. რომანსერო; 2. მისტიკა; 3. ვივაჩე; 4. კიური; 5. მდოგვი; 11. „მაუგლი“; 12. ლოტოსი; 14. ლალა; 16. გესტაპო; 17. ტრაქომა; 19. ბრამრეა; 21. ლინზა; 22. სოპკა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. „მინდია“; 2. ბურიმე; 3. დერბი; 4. ისე; 5. სარაცენია; 6. ნერვიურა; 7. ნემსი; 8. პაი; 9. ასული; 10. ნაპოლი; 11. ალუჩა; 12. ვიარდო; 13. პანორამა; 14. შნო; 15. ოჰო; 16. აომორი; 17. კოლტი; 18. კასიოპე; 19. ულან; 20. კორდელია; 21. მისანი; 22. რესორი; 23. სიმპათია; 24. ლაპისი; 25. პალიატივი; 26. ანკესი; 27. ედ; 28. სერსო; 29. სერ; 30. რუ; 31. ორთი; 32. მერილ; 33. იმაი. **სურათებზე:** ჯესიკა სიმპსონი; გილერმო ოჩოა.

## დათვმა ვოლიერთან ახლოს მისული ქალი დაკბინა



ამერიკის პენსილვანიის შტატში დასასვენებელი სახლის თანამშრომელს თავს ჰიმალაიური დათვი დაესხა.

ქალი სტუმრებს იმ ცხოველებს ათვალიერებინებდა, რომლებიც მათი დაწესებულების ტერიტორიაზე ბინადრობენ. როდესაც ის მტაცებლის ვოლიერს მიუახლოვდა, დათვმა გისოსებს შორის თათი გამოყო, ქალს სტაცა, თავისკენ მიიზიდა და ხელზე უკბინა.

დაშავებულ ქალს დასახმარებლად სხვა თანამშრომლები მივარდნენ. მათ მტაცებელი აიძულეს ქალი გაეთავისუფლებინა. მედდამ მას საჭირო დახმარება ადგილზევე აღმოუჩინა, რის შემდეგაც ქალი შვეულმფრენით ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

## ეჭვიანი ქმარი ცოლის ჯინაზე მეხუთე სართულიდან გადახტა და გადარჩა

ჩინეთში გადაარჩინეს მამაკაცი, რომელმაც ცოლზე ერთი წლის შვილის გამო იეჭვიანა და გადაწყვიტა, მისი ყურადღება მიექცია.

ინციდენტი ჩჟეცზიანის პროვინციის ქალაქ ვენლინში მოხდა. ცოლმა ქმარი იმაში დაადანაშაულა, რომ უყურადღებობას იჩენდა მათი შვილის მიმართ, სანამ ის სახლში არ იმყოფებოდა. მამაკაცი ამან გააბრაზა და ქალის ჯინაზე მეხუთე სართულის ფანჯრიდან გადახტა. ის მესამე სართულის აივანზე დაეცა და გადარჩა. ამის შემდეგ მან ცოლს დაურეკა და გააფრთხილა, რომ უახლოეს წყალსატევში მიდიოდა თავის დასახრჩობად.

შეშინებულმა ქალმა დაუყოვნებლივ პოლიციაში დარეკა. მამაკაცი უგონო მდგომარეობაში მყოფი ნაპირის ახლოს თავთხელ წყალში იპოვეს. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ამ დროისთვის მამაკაცი სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფება.



ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ მას ცოლი ყურადღებას აღარ აქცევს. თავის მხრივ ქალმაც აღნიშნა, რომ მეუღლე ბავშვის გამო მართლაც ეჭვიანობდა და მოითხოვდა, რომ მის მიმართ მეტი ყურადღება გამოეჩინა.

## ქალი ცოლად კანდელიაბრს მიჰყვება



ბრიტანეთის იორკშირის საგრაფოს ქალაქ ლიდსის მცხოვრებმა ქალმა გადაწყვიტა, არა ოფიციალურად იქორწინოს კანდელიაბრზე.

35 წლის ამანდა ლიბერტიმ კანდელიაბრი ინტერნეტ–აუქციონზე შეიძინა.

– 400 ფუნტი სტერლინგი გადავიხადე იმაში, რომ ის ჩემთვის ევროპიდან ჩამოეტანათ, – განაცხადა ქალმა, – ეს ნამდვილი ერთი ნახვით შეყვარება იყო.

ამანდამ კანდელიაბრს სახელად ლიუმერი დაარქვა. ის ამტკიცებს, რომ მის გარეგნობაზე ზრუნავს, თითქმის ყოველ საღამოს აპრიალებს.

– ვიცი, რომ ბევრს ჩემი სასანთლით გატაცება უცნაურობად მიაჩნია, მაგრამ მე შერყეული სულაც არ ვარ, – ირწმუნება ქალი.

ლიუმერის გარდა, ამანდას სხვა კანდელიაბრებიც აქვს, რომლებთანაც ღია ურთიერთობა აქვს. ადრე ქალი ნიუიორკის თავისუფლების ქანდაკებაზე იყო შეყვარებული და მისი გვარიც კი აიღო, თუმცა შორ მანძილზე სიყვარული რთული აღმოჩნდა და დაშორება მოუწია.

## მოსწავლემ გამოცდის დროს იმშობიარა



გვინეის მკვიდრი მშობიარობიდან ნახევარი საათის შემდეგ გამოცდაზე დაბრუნდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი სამხრეთაფრიკული გამოცემა ავრცელებს.

18 წლის მოსწავლე ფატუმატა კურუმა კონდე, ქალაქ მამუდან, გამოცდაზე მარტო მივიდა და ამ დროს იგრძნო, რომ სამშობიარო ჭინთვები ეწყებოდა. ის დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც 10 წუთში ბიჭი გააჩინა. ყველას გასაკვირად, გოგონა სწრაფად მოვიდა გონს და გამოცდაზე დაბრუნდა.

კურუმა კონდემ მეუღლეს და ოჯახის სხვა წევრებს დაუმალა, რომ მშობიარობის დრო მოსული იყო, ვინაიდან შიშობდა, რომ სახლში დარჩენას აიძულებდნენ.

– უბრალოდ, თუნდაც ერთი გამოცდის გაცდენაც კი ვერ წარმომედგინა და ბაკალავრიატზე ვერ ჩავაბარებდი. მთელი წელი ამისთვის ვემზადებოდი, – ხაზგასმით აღნიშნა ახლად გამომცხვარმა დედამ.

## სტენდაპ-კომიკოსი სცენაზე გამოსვლის დროს დაიღუპა



ინდოელი სტენდაპ-კომიკოსი მანჯუნატ ნაიდუ დუბაიში წარმოდგენის დროს გარდაიცვალა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შოუს დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ მამაკაცს სულის ხუთვა დაეწყო და სკამზე დაჯდა, რათა როგორმე ამოესუნთქა. კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ კი ის აუდიტორიის თვალწინ სცენაზე დაეცა.

შოუს მაყურებლებს თავიდან ეს ყოველივე წარმოდგენის ნაწილი ეგონათ, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ სასტუმროს წარმომადგენლები, სადაც შოუ იმართებოდა, კომიკოსს დასახმარებლად მისცვივდნენ. ნაიდუ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს. ის გულის გაჩერებისგან გარდაიცვალა.

## კუნგ-ფუს ოსტატმა ყურით ორი მანქანა გაათრია

ჩინეთის პროვინცია ხენანის ქალაქ შანციუში კუნგ-ფუს ოსტატმა იან დეიუნმა ორი ავტომობილი რკინის ჯაჭვის დახმარებით დაძრა, რომელიც მარჯვენა ყურზე ჰქონდა მიბმული. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები ნიუსფლეირმა გამოაქვეყნა.

წარმოდგენის დემონსტრაციის წინ ავტომობილები ერთმანეთზე თოკებით გადააბეს, ხოლო ბამპერზე ჯაჭვი გა-



უკეთეს. იან დეიუნმა ისინი ადგილიდან დაძრა და რამდენიმე ნაბიჯი გაიარა. აღსანიშნავია, რომ თითო მანქანაში ორი-ორი ადამიანი იჯდა. მამაკაცს ყური არ დაშავებია.

კუნგ-ფუს ოსტატის თქმით, ეს მისი შესაძლებლობების ზღვარს არ წარმოადგენს. ის ამტკიცებს, რომ ადრე, მან ცალი ყურით ათი აუდის მარკის ავტომობილის გათრევა მოახერხა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის 1973-74 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან და სამძიმარს უცხადებენ თანაკურსელს – მედიკო კალანდიას მეუღლის, ბატონი

**შოთა კარანაძის**

გარდაცვალების გამო.

*მედიკო კალანდიას თანაკურსელები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## კესო რუსია „მასტერკლასის“ გამარჯვებული გახდა



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მუსიკალური შოუს „მასტერკლასის“ პირველი სეზონის გამარჯვებული კესო რუსია გახდა. მან დანარჩენ 16 კონკურსანტთან ერთად, ფინალამდე ურთულესი ეტაპები გაიარა, ღირსეულად დაიკავა ადგილი რჩეულთა შორის და გამარჯვებაც დაიმსახურა. კესომ სხვადასხვა კომპანიებისგან მიიღო შეკვეთილში დასვენება 5 დღით, აიპადი, აიფონ 10, ორკაციანი საგზური ბორჯომში. კესოსთან ერთად სხვადასხვა პრიზები მუსიკალური გადაცემის ყველა მონაწილემ დაიმსახურა.

სამთვიანი მარათონის ფინალში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ რეზიკო არჩვაძე, ანანო გრძელიძე, ნიკოლოზ ვასაძე, ანა გუგუშვილი, კესო რუსია და დაჩი ორველაშვილი. მათ შორის გამარჯვებული კი კესო გახდა, რომელიც გიორგი სუხიტაშვილის კლასის მოსწავლეა. პრიზი კესოს სწორედ მისმა პედაგოგმა გადასცა.

გიორგი სუხიტაშვილი:

– „მასტერკლასის“ გამარჯვებული, ჩემი კლასის მოსწავლე, საოცარი ნიჭის მქონე კესო რუსია გახდა. წინ დიდი მომავალი აქვს და დიდი თავგადასავლები.

მიყვარხარ კესო და მიხარია, რომ ამ პროფესიაში შენს პირველ ნაბიჯებს ვადევნებ თვალყურს.

## ბესო ზანგური კუთვნილ ხელფასს ითხოვს



რუსთაველის თეატრის მსახიობი ბესო ზანგური კუთვნილ ხელფასს ითხოვს:

– შეიძლება ასე არასერიოზულად მოექცე ამხელა თეატრების ბიუჯეტს? 19-ის ხელფასი დღესაც რომ არ ჯდება, ეგაა კულტურა, რომ გკიდიათ კულტურული მემკვიდრეობის ქვეყნის შვილებს.

შეიძლება გამუდმებით ასეთ დღეში ვიყოთ არტისტები, ხმას რატომ არ იღებთ?

## გიორგი კეკელიძეს ბავშვები ბიბლიოთეკების გახსნას ისევ აქტიურად სთხოვენ



ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორ გიორგი კეკელიძეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ბავშვები წერილებს სწერენ და მათ სოფლებსა თუ ქალაქებში ბიბლიოთეკების გახსნას და ახალი წიგნების ჩატანას სთხოვენ.

**გიორგი კეკელიძე:** – მაინც მგონია, რომ სანამ თითქმის ყოველდღე, თითო ბავშვის წერილი მაინც მხვდება, რომ მათ სოფელს ახალი წიგნები არ აქვს და ბიბლიოთეკას ითხოვს – საქართველოს „მისჯილი“ აქვს უკეთესი მომავალი. და ეს ძალიან მახარებს. და არც წერილია თითო-ოროლა.

ამ კვირაში მეათასე სოფელს ვეწვევით. დიდი და ამაღელვებელი საქმეა, უფრო დიდის და ამაღელვებლის წინაპირობა. აქ, კომენტარის ფორმით მიგვითითეთ სოფლები შემდეგი ათასეულისთვის, დავაჯგუფებთ და ნელ-ნელა, მაგრამ აუცილებლად გეწვევით!

## ლევან თაქთაქიშვილი: „არ მეგონა, რომ როდისმე თავისუფალ საქართველოში გოგებაშვილის „დედა ენას“ დაცვა დასჭირდებოდა“




აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელი ლევან თაქთაქიშვილი და იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ საინტერესო ისტორიას გვიყვება:

– „დედა ენა!“ არ მეგონა, რომ როდისმე თავისუფალ საქართველოში გოგებაშვილის „დედა ენას“ დაცვა დასჭირდებოდა.

ამ თემაზე საუბარს მისი ისტორიით დავიწყებ: იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ „დედა ენას“ საუკეთესო დამცველი გამოუჩნდა: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. პიროვნება კი ლუარსაბ ბოცვაძე, მისი გარდაცვალების შემდეგ 1919 წელს, ეს საზოგადოებაც სულს ღაფავდა: სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ლამის თავის ფილიალად გადააქცია. „დედა ენაშიც“ ამ პარტიის დროშა და პარტიული სარეკლამო ილუსტრაციები გაჩნდა.

გასაბჭოების შემდეგ „დედა ენა“ ჯერ ავტორის გვარის გარეშე დაბეჭდეს, „შედგენილი ი.გ.-ს მიერ“ – ასე ეწერა ყდაზე. შემდეგ კი საერთოდ აკრძალეს. სწავლა ანბანისა პლაკატებით დაიწყეს. ამ საქმეს რუსუდან ნიკოლაძე ჩაუდგა სათავეში. არშემდგარი პროექტი. ერთ პლაკატზე ქალი ეხატა, ქათმებს საკენკს რომ უყრიდა და ეწერა: ჯუ, ჯუ! ასე ასწავლიდნენ ასობგერა ჯ-ს.

მაშინდელმა ინტელიგენციამ პროტესტი გამოთქვა, ბატონებმა აკაკი გვახარიამ და ვარლამ ძიძიგურმა ახალი წიგნი შესთავაზეს ბავშვებს, მასში ეს პლაკატებიც იყო და ტექსტებიც, ასე ნელ-ნელა 1926 წლიდან 1936 წლამდე მიიყვანეს საზოგადოება კვლავ „დედა ენის“ დაბეჭდვამდე, რომელსაც ეწერა: „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილის მიხედვითო. ეს მაშინ „დედა ენის“ გაცოცხლება იყო, თუმცა ტექსტები საბჭოთა სინამდვილის ამსახველი, სტალინი მამლაქათთან ერთად, ლენინი, კოლმეურნეობა და ასობგერა ჯ-ს შესწავლისას ეწერა: მათხოჯი. ეს ვარლამ ძიძიგურის დაბადების ადგილი იყო.

ძვირად დაუჯდათ იაკობის გაცოცხლება. თუნდაც ამ ფორმით. აკაკი გვახარია დააპატიმრეს და დახვრიტეს. ვარლამ ძიძიგურმა კოლეგის ოჯახს ჰონორარი რომ აელო და ასევე ავტორი რომ არ მოშორებულიყო წიგნს, მისი ძმა – ალექსანდრე გვახარია დააწერა ყდაზე: ა. გვახარია, მაინც აკაკი გვახარიას გულისხმობდნენ როგორც აკაკის ოჯახში, ასევე კგბეში. ამიტომ 1951 წელს ბიბლიოთეკებში რომ რეპრესირებული ავტორების სია მოვიდა და შიგნით აკაკი გვახარია ეწერა, ამოკრიფეს ყველა „დედა ენა“ ა. გვახარიას ავტორობით ბიბლიოთეკებიდან და დაწვეს. ეს აკაკი გვახარიას ღირსეულმა შვილმა, ბატონმა შურა გვახარიამ მომიყვა.

მერე ქალბატონი ბურჯანაძე და ბოცვაძე პატრონობდნენ „დედა ენას“, ერთი ვარლამ ბურჯანაძის ოჯახის წევრი იყო, მეორე ლუარსაბ ბოცვაძის. მერე კი რამიშვილი – ცვლილებები იმდენი იყო, რომ ბოლოს „დედა ენა“ ისე იყო გოგებაშვილის, როგორც საბჭოთა კონიაკი ოს სარაჯიშვილისა. სსრკ-ს დროს ოს ოჩენ სტარს (ძალიან ძველს) ნიშნავდა, სარაჯიშვილის დროს კი ოლია სარაჯიშვილს. „დედა ენა“ ჯერ ბრენდი იყო, სსრკ-ს დაშლის შემდეგ კი, ფულის საბეჭდი მანქანა. იმდენად გათავხედდა გამომცემლობა „განათლება“, რომ ახალი ფირმა შექმნეს: „ლამპარი“ და განათლებიდან „დედა ენის“ ბეჭდვის და გავრცელების უფლება „ლამპარმა“ აიღო.

მერე კი „დედა ენის“ პირველი ნაწილი სამ რვეულად დაყვეს და თითოს მამასისხლის ფასად ყიდდნენ, შპალერის ქაღალდზე დაბეჭდილს. რატომ არ ეწერა წიგნს ავტორად გოგებაშვილი და რატომ იყვნენ მისი შემდგენლები? გოგებაშვილმა ანდერძით წიგნი ძმისშვილებს არ დაუტოვა, გადასცა წერა-კითხვის საზოგადოებას, საზოგადოების მემკვიდრე განათლების სამინისტრო იყო. სამინისტროში კი სურდათ, „დედა ენა“ რაც შეიძლება მეტად შეეცვალათ, საქმეში ეთვლებოდათ. მასში საუკეთესო ლექსები ხშირად არ შედიოდა, შედიოდა ბევრი მდარე ლექსი საბჭოთა პოეტებისა. გოგებაშვილს იყენებდნენ წინიდან და უკნიდან. ასე იყო.

„დედა ენის“ სახელმძღვანელოს დაბეჭდვაზე ოცნება გამომცემლებმა მხოლოდ 2000 წლიდან დაიწყეს. არადა ყველაზე ღირსეული ნაბიჯი ბატონმა ვახტანგ როდონაიამ გადადგა. მან გამოსცა და წარადგინა „დედა ენის“ სახელმძღვანელო არა გოგებაშვილის პრინციპების, არამედ დამოუკიდებელი ექსპერიმენტის მიხედვით. შედეგმაც არ დააყოვნა: ჯერ ლამის მიწაში ჩადეს, შემდეგ მოიწონეს სკოლებმა. ეს იყო რეალური ალტერნატიული სახელმძღვანელო. „ლამპარი“ საბჭოთა დედაენის ატავიზმს ბეჭდავდა, არაერთი გან.სამინისტროს ყოფილმა ფუნქციონერმა მოინდომა გოგებაშვილის სახელმძღვანელოს გადამუშავება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.8845

ევრო — 3.2410

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6177

100 რუსული რუბლი — 4.5787

## ამინდის პროგნოზი 23 ივლისისთვის




„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
„მე მიყვარს კითხვა“
16 ივლისიდან
ელენორ პორტერი
პოლიანა




ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

19 ივლისიდან
რევაზ მიშველაძე
ციყვი ბორბალში




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## იუმორი

მამაკაცი დარბაზში შეკრებილებს მიმართავს:

– გამარჯობათ! ჩვენ ვიწყებთ სემინარს „როგორ გამოვიმუშაოთ 10 ათასი ლარი დღეში“. შეკითხვა დარბაზს. რამდენი ღირდა სემინარზე დასასწრები ბილეთი?

– 10 ლარი, – უპასუხეს დარბაზიდან.

– რამდენი ადგილია ამ დარბაზში?

– ათასი.

– გმადლობთ. სემინარი დამთავრებულია.

●●●

მოხუცი ქალი თევზს ყიდულობს და გამყიდველს ეკითხება:

– შვილო, თევზი ახალია?

– ბებო, ცოცხალია.

– მასე მეც ცოცხალი ვარ...

●●●

ლოტს ეკითხებიან:

– შეგიძლიათ გვიპასუხოთ, რა გაიძულებთ ყოველდღე დალევას?

– არაფერი, მოხალისე ვარ.

●●●

დილით ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, სამსახურში მაგვიანდება და ჩაი შენ თვითონ დაისხი!

– კარგი, ძვირფასო, და რამდენი კოვზი შაქარი მიყვარს?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ყველა კაცი ერთნაირია, ყველა სვამს.

– ჩემი ნაძირალა კი ჭამს კიდევაც.

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– ადრე მარტო ვცხოვრობდი და ყველა ჩემი ნივთები თავის ადგილზე ეყარა...

– და ახლა?

– ახლა, რაც ცოლი მოვიყვანე, ყველაფერი სუფთად და ლამაზად აწყვია ღმერთმა უწყის სად...

●●●

ღამის ორ საათზე ვეტერინარის ტელეფონი რეკავს.

– ალო, ვეტერინარი ხართ?

– დიახ! რა მოხდა? რაიმე სასწრაფოა?

– რა თქმა უნდა! აქ, სახლის სახურავზე კატებს სექსი აქვთ და საშინლად ჩხავიან, დაძინება შეუძლებელია!

– კატას ტელეფონთან უხმეთ!

– თქვენ ფიქრობთ, რომ ამისთვის სექსს შეწყვეტენ?

– მე ხომ შევწყვიტე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ზიდანი: „ბეილი რეალიდან უნდა წავიდეს“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ გარეტ ბეილის ადგილი რეალში აღარ არის და მან ეს გუნდი უნდა დატოვოს.

ზიდანის თქმით, მას ბეილის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, უბრალოდ, ცვლილებების დრო მოვიდა:

– ბეილმა სხვა გუნდი უნდა მოძებნოს და ჩვენ მას ამის გაკეთებაში დავეხმარებით. მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ, ბეილის ადგილი დღევანდელ რეალში არ არის, რადგან ჩვენ ბევრ ცვლილებას ვგეგმავთ.

აღსანიშნავია, რომ თვითონ ბეილს რეალის დატოვება არ სურს, რადგან ის ამ გუნდში ძალიან მაღალ ხელფასს იღებს.

## ნეიმარის მომავალი კვლავ გაურკვეველია




პსჟ-ს ბრაზილიელი ვარსკვლავის ნეიმარის მომავალი კვლავ გაურკვეველია. მას პსჟ-ში დარჩენა არ სურს, მაგრამ ფრანგული გუნდი მის ტრანსფერში ძალიან დიდ ფულს ითხოვს, რომლის გადახდაც არავის სურს.

ნეიმარს ყველაზე მეტად ბარსელონაში უნდა დაბრუნება, მაგრამ კატალონიურმა გუნდმა ანტუან გრიზმანი იყიდა და ნეიმარის ადგილი ბარსელონაში აღარ არის. სავარაუდოდ, ბრაზილიელს პსჟ-ში დარჩენა მოუწევს.

თვითონ ნეიმარი ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

## კლაუდიო პიზარო ერთ წელიწადში კარიერას დაასრულებს

ლეგენდარული პერუელი ფეხბურთელი კლაუდიო პიზარო ამ სეზონის შემდეგ კარიერას დაასრულებს. პიზარო ამჟამად 39 წლის არის და მისი თქმით, დროა, მან ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს:

– თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგრამ დროა, რომ აქტიური სპორტიდან წავიდე, რადგან უკვე ყველაფერი ვნახე და გაგრძელებას აზრი არა აქვს. ვფიქრობ, ვერდერში დავრჩები და გუნდის სისტემაში ვიმუშავებ.

პიზარომ კარიერის უდიდესი ნაწილი გერმანიაში გაატარა, სადაც ბაიერნსა და ვერდერში თამაშობდა. ბაიერნის შემადგენლობაში პიზაროს ჩემპიონთა ლიგა აქვს მოგებული.

## ანტონიო კონტე: „ლუკაკუს ყიდვა ინტერისთვის აუცილებელია“




ინტერის მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ რომელუ ლუკაკუს ტრანსფერზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი ყიდვა ინტერის მთავარი პრიორიტეტია.

კონტეს ლუკაკუს ყიდვა ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როდესაც ჩელსის მწვრთნელი იყო:

– ლუკაკუს მიმართ ყოველთვის კარგი დამოკიდებულება მქონდა და ვფიქრობ, ის ინტერში ჩემს ახალ სქემას იდეალურად მოერგება. მისი სტილის ფორვარდი ძალიან გვჭირდება. მანჩესტერ იუნაიტედი ლუკაკუს ტრანსფერში 80 მილიონს ითხოვს, ხოლო ინტერი ცდილობს, რომ ფორვარდში 75 მილიონი გადაიხადოს.

## ნაბილ ფეკირი კარიერას ბეტისში გააგრძელებს




ლიონის ფრანგი ნახევარმცველი ნაბილ ფეკირი კარიერას სევილიურ ბეტისში გააგრძელებს. ფეკირი მალე სევილიაში უნდა ჩაფრინდეს, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის, შემდეგ კი ბეტისთან 5 წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ფეკირის ტრანსფერში ბეტისი 25 მილიონს გადაიხდის, რაც ამ გუნდისთვის დიდი ფულია. წინა ზაფხულს ფეკირი ლივერპულის ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო, მაგრამ მან სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## სკარლეტ იოჰანსონმა დევიდ კომას კოსტიუმში იპოზიორა




მსოფლიოში ცნობილმა მსახიობმა სკარლეტ იოჰანსონმა ქართველი დიზაინერის დევიდ კომას მიერ შეკერილ სამოსში იპოზიორა.

სკარლეტ იოჰანსონის ახალი ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა. მას დავით კომახიძე რესორტ 2020-ისთვის შექმნილი კოსტიუმი აცვია. კომას კატალოგში ეს სამოსი მოდელმა ჟასმინ უინალდუმმა მოირგო.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც დევიდ კომას მიერ შექმნილი სამოსი მსოფლიო ვარსკვლავებს აცვიათ. ბელა ჰადიდი, ჯენიფერ ლოპესი და სხვა ცნობილი ხელოვანი ქართველი დიზაინერის მიერ შექმნილი სამოსით ხშირად იწონებენ თავს.

## თათია შარანგიამ სატელევიზიო ეთერი დაასრულა



პიანისტმა და გადაცემა „სთორის“ წამყვანმა თათია შარანგიამ სატელევიზიო ეთერი მოულოდნელად დაასრულა და მაყურებელსაც სექტემბრამდე დაემშვიდობა:

– არ მინდოდა ასე მოულოდნელად თქვენთან დამშვიდობება, მაგრამ ასე გამოვიდა. ზაფხული ძალიან მიყვარს, რადგან შესაძლებლობა მეძლევა ჩემს ოჯახთან მეტი დრო გავატარო, გაცდენილ დროს დავეწიო, ენერგიით ავივსო. ამავდროულად მენატრებით თქვენ – ჩემი მაყურებელი.

მადლობა სიყვარულისთვის და ნდობისთვის. გპირდებით, სექტემბრიდან „სთორი“ გააგრძელებს თქვენს ერთგულ სამსახურში ყოფნას, ახალი სახეებით, ახალი ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენა-გაცნობით. „სთორი“ ჩემი მეოთხე შვილია და აუცილებლად გავაგრძელებ მის გაზრდა-განვითარებას.

მიყვარხართ თითოეული თქვენთაგანი. შევხვდებით სექტემბერში. დიდი მადლობა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 2. იამაიკის დედაქალაქი; 3. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 4. აეროპორტი რომში; 5. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში; 9. ყირიმის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება; 11. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 12. ქართველი ასტრონომი, აკადემიკოსი; 14. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 18. საღებავების დასამზადებლად გამოყენებული მოხარშული ზეთი; 19. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა.

**თარაზულად:** 4. სოფლის პოლიციელი ძველად; 5. წაგრძელებული, უგუმბათო სწორკუთხა ტაძარი; 6. ცნობილი იაპონელი ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელი მამაკაცი; 7. საფოსტო გზავნილი; 8. დაზვერვის თანამშრომელი; 10. ჰოლანდიური ყველი; 13. ულელტეხილის ქართული სახელწოდება; 15. გარეგანი ზემოქმედებით მიღებული სხეულის დაზიანება; 16. გემის სვლის სიჩქარისა და განვლილი მანძილის გასაზომი ხელსაწყო; 17. ცნობილი იტალიელი კომიკოსი; 20. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 21. არტურ რუბინშტეინის ოპერა; 22. ჟურნალ „პლეიბოის“ დამფუძნებელი; 23. შემაგრებული პორტუგალიური ღვინო.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**